№ 2677
კვირა
21 ნოემბერი

ცნობის ფურცელი

№ 2677
კვირა
21 ნოემბერი

ხელისმოწერის ფასი: წელიწადში—6 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და კამპ. განცხადებათა კონტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1904

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს; ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთი თვის განმავლობაში.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

93

დღესასწაულისა გამო „ცნობის ფურცლის“ შემდეგი №-რი გამოვა სამშაბათს, 23 ნოემბ.

წლის წირვა და პანაშვიდი გარდაცვალებულის მღვდლის

ზაქარია გიორგის ძის ქურდოვანიძისა

გადახდილ იქნება ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკკლესიაში კვირას, 21 ნოემბერს, რასაც შვილები: სოლომონი, გრიგოლ, ალექსანდრე და იოსები დებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ. (1—1)

ქართული წარმოდგენა. სახაზინო თეატრი. აბონიმენტის გარეშე

ოთხშაბათს, 24 ნოემბერს ბენეფისი ვ. ა. აბაშიძისა წარმოდგენილი იქნება ორი ახალი პიესა

I
მეუღლენი
კომ. 5 მოქ. თხზ. გ. სუნდუკიანცისა. სომხურიდან ნათარგმნი ი. მაჭრომის-მიერ.

II
ბენეფისის წინ
სცენები 1 მოქმ. პ. უმიკაშვილისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ტასო აბაშიძე, გაბუნია-ცაგარელი, კარგარეთელი, ლეჟავა, მესხი, ჩხეიძე; ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, გუნია, მესხი, სვიმონიძე, შათირიშვილი, შალიკაშვილი, ჩარკვიანი და სხვ.

ადგილების ფასი ორჯერისაა. დასაწყისი 8 საათზე.

ბილეთები იყიდება სახაზინო თეატრის კასაში, ლაკასიონში. სეზონის ბილეთები და კონტრამარკები გაუქმებულია. ადმინისტრაცია ამხანაგობისა.
მორიგი რეჟისორი ვ. აბაშიძე.

სახაზინო თეატრი. ანტრეპრიზა საიმპერ. თეატრის არტ. ლ. დ. დონსკოისა.

კვირას 21 ნოემბერს 1904 წელს ორი წარმოდგენა:

დილით იაფ-ფასიანი—„ჟიზნ ზა ცარია“ საღამოთი—„ევგენი ონეგინი“

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: მიხაილოვა, ბიჩუცკი-მინჩენკო, ხარიტონოვა, ზასლავსკაია; ბ-ნნი: ბოგდანოვიჩი, პოლუიანოვი, დემიანენკო, პორუბინოვსკი, ზალინსკი, მურატოვი.

კაპელმეისტერი ეიხენვალდი. ფასები დაკლებულია. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

22 ნოემბ. „პიკოვაია დამა“.
გამგე ი. ა. კელლერი

გაიხსნა კეროსინის სადგური

გ. ა. ოგულევიჩისა

ამ ფირმით: „ლიუმენი“ ნავთლუხს, ტელეფონი № 1001. ფირმა ზ. დ. ჩიქოვანის გამგეობით ვაჭრობს კეროსინით, ბენზინით და ნავთით ქ. ტფილისსა და ტფილისის გუბერნიის სხვა ადგილებში.

სადგურს საქონელი პირ-და-პირ ზავოდიდან მოსდის, ამიტომ შეუძლიან მიაწოდოს მყიდველს უკეთესის თვისებისა უფრო ნაკლებ ფასად, ვიდრე ტფილისშია. რადგან კარგი საწყობები არა აქვთ და არც კარგად ინახავენ, კერძო გამყიდველნი ვერ აწვდიან მსურველთ ხეირიან საქონელს. ჩვენ სადგურს-კი გაუმჯობესებული ჭურჭელი აქვს და სრულიად სუფთა კეროსინი გაგვაქვს ქალაქში გასასყიდად. კეროსინს არაფერი არ ურევია და სწორედ ისეთია, როგორიც საზღვარ-გარედ იგზავნება.

მსურველმა უნდა მიმართოს „ლიუმენის“ ნავთლუხის კონტორას ან ტელეფონით.
(3—3) სადგურის საქმეების გამგე ზაქარია ჩიქოვანი.

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მკურნალის დ. ხ. გედევანიშვილისა.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

ექიმები:

ა. ი. ბაღდასაროვი.—ბავშვებისა. 9½—10½ ს.

მ. ფ. ბოლინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის ყოველ-დღე გარდა კვირისა. 10—11 საათ.

ლ. ი. ძიძოტი.—ქირურგია 11½—12½ კვირაობით, სამშაბ., და ხუთშაბათ.

ა. ნ. დიახამიძე.—ვენერიული და კანისა 12½—1½ საათამდე.

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

მედ. ქალი ნ. ძ. იოსელიანი.—ქალისა და სა[illegible], სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.

ვ. ა. ზიღაძე.—შინაგანი და ბავშვებისა—1—2 საათ.

დ. ვ. მონინი.—ქალისა, საბებიო და ბავშვებისა და (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირაობ. 1—2 საათამდე.

ვ. ს. მუსხელიშვილი.—თვალისა 2—3 საათ. ყოველ-დღე გარდა სამშაბ. და კვირისა.

მრ. ვ. ხოზოლიშვილი.—ქირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათ. და პარასკ. 1—3 საათამდე.

საღამოთი:

ვ. ვ. ხოზოლიშვილი.—ქირურგია და ორტოპედია. ორშაბათ. და შაბათ. 5—6 ს.

ტ. ხ. დავიდოვი.—შინაგანი და ბავშვებისა ყოველ-დღე გარდა კვირისა. 5—6 საათ.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., საავადმყოფოს აქვს ოცი საწოლი სამკურნალოში [illegible] მორიგებით. კრავატები დღეში ღირს [illegible] მან. საზოგადო და ნომერი 5 მან.

ადრესი: ქუქია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (ქუქიის [illegible] სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9. [illegible] ქუჩიდან-კი 34 Б.
ტელეფონი № 274.

კბილის ექიმი
ივანე ა. ახალშენიშვილი
გადავიდა: ნიკოლოზისა (№ 32) და ხიდის ქ. (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამ. 5—7. კვირა-უქმით 10—1-დის.

მკურნალი
მიხეილ გედევანიშვილი
იღებს ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათ. წამლობა ელექტრონით.
ყარაფანოვის ქ., № 16, საკუთ. სახ., ტელ. 792.

ექიმი
ა. ნ. დიახამიძე
იღებს სიფილისით და ვენერიულ სენით დაავადმყოფებს, დილის 9—11-მდე და საღამოს 6—8-მდე. ფოსტის პირდაპირ, ბარონის ქუჩა, სახლი მესხიშვილისა. (30—18)

ექიმი
ა. ნ. თეთრაძე
სუდებნაია, სახლი № 24, აფთიაქის თავზე. იღებს შინაგან, ნერვების და ბავშვების ავადმყოფებს საღამოს 5—8 საათამდე. მიკროსკოპით სინჯავს ნახველს, შარდს, სისხლს და სხვ. (87—366—12)

კბილის ექიმი
ლ. რომანიშვილი
[illegible] ავადმყოფებს ახალ ბინაზე მუხრანიანთ [illegible] საკუთარი სახლი, ქალაქის სამკურნალოს [illegible] დილის 12 საათიდან საღამოს 5 საათამდე. (თვ.—5.—32)

ექიმი
ი. ი. ზამბახიძე
რიბოპიერის ქ.—27. იღებს შინაგანით და ნერვებით ავადმყოფებს საღამოს 5—7 საათამდის. სამკურნალო-სადიაგნოზო კაბინეტი ქიმიურ-მიკროსკოპიული გამოკვლევანი ნახველისა, სისხლისა, შარდისა და სხვ. (30—365—13)

ტფილისის სათავად-აზნაურო საკრებულო

შეუდგა ტფილისის გუბერნიის თავადთა და აზნაურთა გვარების საშთამომავლო წიგნების შედგენას. ამ ჟამად უკვე შედგენილია ქვემოდ ჩამოთვლილ გვარების შტონი: თავადთა აბაშიძეთა, აფხაზთა, აბამელიქოვთა, ავალოვთა, ამატუნოვთა, ამილახორთა, ამირეჯიბთა, არღუთინსკი-დოლგორუკოვთა, ბაგრატიონ-მუხრანბატონთა, ბაგრატიონ-დავითიშვილთა, ბარათაშვილთა, ბებუთოვთა, ბეგთაბეგოვთა, ვახვახიშვილთა, ვაჩნაძეთა, ვეზიროვთა, გურამიშვილთა, ჯანდიერთა, ჯორჯაძეთა, ლიონიძეთა, მაღალაშვილთა, მელიქიშვილთა და მაჩაბელთა.

იმ პირთ, რომელნიც ეკუთვნიან ამ გვარებს და რომელთაც ჰსურთ შეამოწმონ სინამდვილე და სისრულე საგვარეულო სიაში მოთავსებულ ცნობათა, სთხოვენ მიმართონ დეპუტატთა საკრებულოს (სოლოლაკის ქუჩა, № 10). შაბათობით, 11—12 საათამდე.

ამასთან ერთად საკრებულოს აზრად აქვს შეადგინოს მცოდნე პირთა დახმარებით ისტორია თავად-აზნაურთა გვარებისა.

ამის გამო ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის წინამძღოლი სთხოვს იმ პირთ, ვისაც მოეპოვება გუჯრები, სიგელები, წყალობის ქაღალდები, ძველი წერილები, მოგონებანი და სხვ. გადასცენ დეპუტატთა საკრებულოს, რომელიც თავის დროზე უკანვე დაუბრუნებს პატრონთ უცვლელად.

დოკუმენტების წარმომადგენელთ მიეცემათ საკრებულოს მდივნის მიერ კვიტანცია დოკუმენტების მიღებისა; თითონ დოკუმენტები-კი დაცული იქმნება განსაკუთრებულ, ცეცხლის მხრივ უვნებელ ყუთში. (5—5.—5)

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“
19 ნოემბერი

პეტერბურგი. გენერალ-ადიუტანტის კუროპატკინის უქვეშევრდომილესი დეპეშა, გამოგზავნილი 18 ნოემბერს: „იმ რაზმმა, რომელმაც 17 ნოემბერს იაპონელები უკუაგდო მეორე უღელტეხილიდან (ცინხენჩენის სამხრეთით), სდევნა მტერი, გაიარა სუიდუნი და მდინარე ტაიძიხემდე მივიდა, სადაც გააფუჭა ტელეგრაფი და ხელთ ჩაიგდო მავთულები. უკან დაწევის დროს იაპონელებმა ორ სოფელში ცეცხლი წაუკიდეს სურსათის საწყობებს. ჩვენ დაგვიჭრეს ორი ყაზახი. ამბავი არ მოსულა იმ რაზმისაგან, რომელიც კაზაკოვის აღმოსავლეთით იაპონელებს დაედევნა. ჩინელთა სიტყვით, 17 ნოემბრის ბრძოლის დროს უღელტეხილზე იაპონელებმა ურმით წაიღეს 50 მოკლული გვამი და წაიყვანეს 150 დაჭრილი. ჩვენებმა ნახეს 23 გვამი. ტყვედ წამოვიყვანეთ 7 კაცი. 17 ნოემბრის ღამეს არ მოსულა მოხსენებები ბრძოლის შესახებ. ზემოაღნიშნულს უქვეშევრდომილესად მოვახსენებ თქვენს უდიდებულესობას“.

გენერალ-ლეიტენანტის სახაროვის დეპეშა, მთავარ შტაბს 18 ნოემბერს: „ჩვენს მარცხენა ფრთაზე რაზმები განაგრძობდნენ უკან დაწეულ მტრის დევნას. მტერმა საჩქაროდ მიანება თავი სოფლებს დაპინდუშანს და უიძიუძის და ციანჩანისკენ დაიხია. ცინხენჩენის უღელტეხილზე მომხდარ ბრძოლის შემდეგ ვნახეთ იაპონელთა 50 თოფი. 17 ნოემბერს, ჩამობნელებისას, ჩვენის პოზიციის მარჯვენა ფრთიდან რაზმი გაიგზავნა ლამატუნისკენ მტრის დასაზვერად. როდესაც ჩვენი რაზმი 20 ნაბიჯით მიუახლოვდა თხრილებს, იაპონელებმა თოფის სროლა დაუწყეს. ჩვენ მოგვიკლეს სამი და დაგვიჭრეს სამი სალდათი. როდესაც იაპონელთა ბანაკი დამშვიდდა, რაზმის ერთი ნაწილი, პორუჩიკის კორსაკოვის უფროსობით, ხელახლა გაემართა დასაზვერად. რაზმი სოფელ ლამატუნის დასავლეთიდან მიეპარა თხრილებს და თოფების დაუცლელად ეცა მტერს შტიკებით. იაპონელები ძლიერ წინააღმდეგობის შემდეგ გაიქცნენ. ჩვენებმა სდიეს შახეს მარჯვენა ნაპირამდე. ერთი იაპონელი ტყვედ წამოიყვანეს და 25-მდე მოჰკლეს. ხელთ ჩაიგდეს თოფები, საბნები და სხვა ნივთები. ჩვენ რაზმში დასჭრეს ხელში პოდპორუჩიკი კალტბეკერი და მოჰკლეს ერთი სალდათი. 17 ნოემბრის ღამეს ჩვენ მარცხენა ფრთაზე ერთი რაზმი, შტაბს-კაპიტანის ალექსანდროვის უფროსობით, შეუმჩნევლად მიეპარა მტერს და სროლა დაუწყო იმის საყარაულოს. მახლობელ თხრილების ბლინდაჟებიდან გამოვარდა სამოცი იაპონელი, რომელთაც ტყვია დაუშინეს ჩვენებს. ჩვენები ეცნენ თხრილებს. მცირე შეტაკების შემდეგ მტერი გაიქცა. რაზმმა ხელთ ჩაიგდო რამდენიმე თოფი. 18 ნოემბერს ბრძოლის შესახებ მოხსენებანი არ მოსულა“.

ვაშინგტონი, 18 ნოემბერი („რეიტ. სააგ.“). რუსეთი პირველი სახელმწიფოა, რომ პირდაპირ თხოულობს კონფერენციის გადადებას ომის გათავებამდე; მაგრამ დანარჩენი სახელმწიფოები არ დაიწყებენ ეხლა მოლაპარაკებას კონფერენციის მოწვევის ვადაზე. შეერთებული შტატები კმაყოფილია, რომ კონფერენციის წინადადებას კარგად შეხვდნენ. ალბად, ამერიკა დროებით ეხლანდელ მდგომარეობაში დასტოვებს საქმეს, მაგრამ, როგორც-კი რუსეთ-იაპონიის ომი უკანასკნელ ფაზისში შევა, შეერთებული შტატები მზად იქნება ისევ მსვლელობა მისცეს კონფერენციას.

მუკდენი, 19 ნოემბერი (საკუთ. კორესპ.). გენერალ რენენკამფმა რომ უკუაგდო 16 ნოემბერს იაპონელების არიერგარდი, ეს იმის მაჩვენებელია, რომ მათი ფრონტი ძალიან გაჭიმულია. რეზერვები ცოტაა. იაპონელების მხრივ საწყობების დაწვა გვიჩვენებს, რომ შეუძლებელია უღელტეხილებზე გაჩერება. ჩვენი ცხენოსანი ჯარი ჯერ კიდევ უკან მისდევს სამხრეთ უღელტეხილიდან უკან მიმავალ იაპონელებს.

პეკინი, („რეიტ. სააგ.“). 19 ნოემბერს აქ გაიარა ორმა დიდმა და ორმა პატარა გემმა. ჰფიქრობენ, რომ ეს რუსის გემებია. გემები სამხრეთისაკენ მიდიოდნენ.

ტანჟერი, 19 ნოემბერი („რეიტ. საგ.“). რუსის სანახშირე გემი და ორი ნაღმიანი გემი მოვიდნენ აქ და ნახშირით იტვირთებიან. მათი სახელები ჯერ არ იციან. მოვიდა „რიონი“, გემი „დობროვოლნი ფლოტისა“.

ტოკიო, 18 ნოემბერი („რეიტერი“). ზედა პალატამ კენჭის უყრელად მიიღო ადრესები, რომლებშიაც არმიასა და ფლოტს მადლობა ეცხადება.—მთავარი შტაბი იუწყება, 17 აფიცერი მოგვიკლეს და 64 დაგვიჭრესო; ეგაა ადგილი არაა ნაჩვენები; ეტყობა ეს ბრძოლა პორტ-არტურთან უნდა მომხდარიყოს. ჯერ დაწვრილებითი ცნობა არ გამოუგზავნიათ, თუ როგორ ჩაიარა სამურაის რაზმების იერიშმა ნაკამურასა და საიტოს უფროსობით. ცხადია, ეს იერიში გამარჯვებით არ დასრულდა. ნაკამურა დაჭრილია, ფეხი მოსჭრეს. საიტოს თავის რაზმით ხელჩართული ბრძოლა არ გაუმართავს მტერთან და იერიში ბოლომდე არ მიუტანია.

კორუნია, 19 ნოემბერი („ჰავასის სააგენტო“). რუსის ნაღმიანმა და სატრანსპორტო გემებმა, რომლებიც ფინისტერის კონცხთან იდგნენ, ქვა-ნახშირი დაუდეს და სამხრეთისაკენ წავიდნენ. ესპანიის კანონირი გემი მხოლოდ რუსების წასვლის შემდეგ მოვიდა აქა.

ლონდონი, 19 ნოემბერი („რეიტერი“). „სტანდარდ“-ი ცნობებს ჰბეჭდავს ინგლისის ფლოტის ახალ განაწილების შესახებ. ეს პლანი მიმდინარე წლის დამლევამდე იქნება გამოცხადებული. ფლოტს ძლიერ ბევრი ახალი გემი მოემატება და მთელს ქვეყნიერობაზე უძლიერესი ფლოტი გახდება. კრეისერების 6 ესკადრის დაარსებას აპირობენ.

ტოკიო, 19 ნოემბერი („რეიტერი“). ხმა დადის, რუსებმა 203 მეტრიან გორის ხელ-ახლად დაბრუნებას ეცადნენო; დიდის ჯარით მიიტანეს იერიში გორაზე, მაგრამ იაპონელებმა დიდის ზარალით უკუ-აქციესო. რუსები ლიაოტეშანსა და ნანტაშანს შუა მაგრდებიან.—ცინხეჩენს ახლო მდგომ იაპონელების რაზმის უფროსი უწყება: 12 ნოემბერს იაპონელების რაზმი რუსების პოზიციას დაეცა ფიშიალოცზუსთან და უკან დაახევინა. იაპონიის რაზმმა დაინახა, რომ რუსების ძლიერი რაზმი იერიშით მოდიოდა, ამიტომ რაზმი შედგა და მაჩიანძენი და იმისი მიდამოები დაიჭირა. მერე რუსის არტილერიაც გამოჩნდა და თან და თან ემატებოდა. ქვეითა ჯარიც მოეშველათ და ბოლოს რუსებს სულ სამიდან ოთხ ბატალიონამდე ჯარი გაუხდათ. 8 ზარბაზანიც ჰქონდათ. იაპონელების რაზმი შეტაკებას მოერიდა, განცალკევებული ნაწილები შეაერთა და თავის პოზიციებზე გადავიდა.

პარიზი, 19 ნოემბერი („რეიტერი“). რუსის 20 სამხედრო გემი ნაშუადღევის 3 საათზე პერინს მოაუახლოვდა. საფრანგეთის „ბინგერი“ ადმირალის გემს მიუახლოვდა და რუსის ესკადრას ლოცმანები მიჰგვარა ჯიბუტის შესავლის საჩვენებლად. 5 საათზე რუსის ესკადრა პერიმს გასცდა. სულ იყო: ორი ჯავშნიანი კრეისერი, 5 სატრანსპორტო გემი, 7 კონტრ-ნაღმიანი და 4 ნახშირის მზიდავი გემი. გემი „ბინგერი“ ჯავშნითაა შემოსილი.

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან“
19 ნოემბერი.

მუკდენი, 19 ნოემბერი. ჩვენს მარცხენა ფრთაზე ერთი რაზმი 17 ნოემბრის ღამეს დასაზვერად იყო ტონგოუს სამხრეთ-დასავლეთით. ჩვენმა რაზმმა დაამარცხა იაპონელთა სადარაჯო რაზმი, დაედევნა, მაგრამ მხვლეტაც მავთულების ღობეში მოემწყვდია. ნაწილი ჩვენის რაზმისა წააწყდა ფუგასებს, რომლებიც აფეთქდა. დანარჩენი სალდათები თხრილებს ეცნენ და დაიწყო ხელჩართული ბრძოლა. იაპონელებს ჯარი მიეშველა, რომელიც ხელით ყუმბარებს ესროდა. ჩვენს რაზმს მოუკლეს 10 და დაუჭრეს 14 სალდათი.

ტოკიო, 19 ნოემბერი. პორტ-არტურის უკანასკნელ ბრძოლების დროს იაპონელებს მოუკლეს 17 აფიცერი, ამათში ერთი მაიორი, დაუჭრეს 64 აფიცერი, ამათში გენერლები ტუჩია და ნაკამურა. რუსები წამდაუწუმ გამოდიან ციხიდან და თავს ესხმიან იაპონელებს. რუსები სცდილობენ უკანვე დაიბრუნონ 203 მეტრიანი გორა.

ბრესტი, 19 ნოემბერი. „პრონზიტელნი“-ს კორპუსი შეაკეთეს. გემი დღეს საღამოთი მიდის.

ჩანსიამუტუნი, 19 ნოემბერი. 4 საათსა და 25 წუთზე იმ იაპონელების წინააღმდეგ, რომელნიც იუანიდუშანსა და უიცზიპოიცძიზე წამოვიდნენ, გაგზავნეს ცხენოსანი რაზმი, რომელმაც უკან დაახევინა იაპონელებს. ღამით 18 ნოემბერს რაზმებმა დაზვერეს ადგილები ლიამინტუნის მხარეს რკინის გზის ახლო და მარცხენა ფრთაზე. ლამინტუნში რაზმს დიდი სროლა აუტეხეს იაპონელებმა და ისიც იძულებული შეიქნა უკან დახეულიყო; რაზმმა დაჰკარგა 6 სალდათი და ერთი აფიცერიც დაიჭრა. შემდეგ რაზმმა ისევ მიიტანა იერიში, ხიშტებით გარეკა იაპონელები სანგრებიდან და ერთიც დაატყვევეს. მარცხენა ფრთაზედაც ხელჩართული ბრძოლის შემდეგ აიღეს სანგარი ბევრი თოფი და ამუნიცია ჩაიგდეს ხელში. 18 ნოემბერს საღამოს სროლა იყო პუტილოვის სოპკიდან.

ღამის დეპეშები იხილე მე-4 გვერდზე.

ჟურნალ-გაზეთებიდან

ომის ამბები. „რუს“-ი იუწყება: მცოდნე წრეები ირწმუნებიან, ამ წლის გასვლამდე ერთმა ამერიკელმა ფირმამ 13 კონტრ-ნაღმიანი გემი უნდა ჩააბაროს რუსეთს, ამ გემების აშენებას 5 კვირის წინად შეუდგნენ და 4 გემი, როგორც ხმა დადის, ამას წინად ჩააბარეს კიდევაც რუსის აგენტებს ნიუ-იორკში. აგენტებმა ეს გემები დამალეს და ნაწილ-ნაწილად რუსეთს გაგზავნეს.

„ნიუ-იორკ ჰერალდ“-ის კორესპონდენტი დეპეშით იუწყება გენზანიდან: ვლადივოსტოკიდან ერთი წარჩინებული კორეელი მოხელე მოვიდა და გვიამბო, რომ რუსები დიდძალ მუშას ამუშავებენ და ახალ სიმაგრეებს აშენებენ ვლადივოსტოკის გარშემო. იაპონელებიც გენზანს ამაგრებენ. 4 დიდმა გემმა დიდძალი სურსათი მოიტანეს და ეხლა სცლიან. ვლადივოსტოკში რუსებს ყოველდღე ჯარი მოსდით რკინის გზით. მდ. ტუმენამდე რკინის გზა გააშენეს. ეს გზა ჩრდილოეთ კორეაში ჯარისა და სურსათის ზიდვას გააადვილებს. მდ. ტიუმენის სამხრეთით რუსებს ბევრგან უდგათ ჯარი. კონგ-სუნგის მახრაში 10 ათასი რუსი დგას; ამას გარდა რუსის რაზმები ბევრგან სხვაგანაც დგანან. პუკჩენში ერთ რუსის გენერალს 2 ათასი კაცი ჰყავს. რუსები ჯერ გალაშქრებას არ აპირობენ, მაგრამ იაპონელებისა და რუსების მზვერავ რაზმებს მუდამ შეტაკება მოსდით... იაპონელები გუშინ გენზანიდან სეულამდე რკინის გზის გაყვანას შეუდგნენ. ნახევარი გზა გამოიკვლიეს კიდევაც და პლანიც შეადგინეს. იაპონიიდან რკინის გზის მასალა მოიტანეს გემით. („რ.“).

ჩინეთის მთავრობამ 66 ზარბაზანი შეუკვეთა კრუპის ქარხანას. ეს ზარბაზნები 10 თვის განმავლობაში უნდა დამზადდეს და 3,847,600 მარკად ეღირება. („რ. ლ.“).

პორტ-არტური. „რუსკია ვედომოსტი“-ს სამხედრო მიმომხილველი ბ. ს. კ. სწერს: „გენ. ნოგის არმია, ეტყობა, უფრო და უფრო ბეჯითად მოქმედებს. ეჭვი არაა, რომ პორტ-არტური უკანასკნელ თვის განმავლობაში უფრო გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩავარდა. ამას თვალსაჩინოდ ის გარემოება ამტკიცებს, რომ გენ. სტესელის მოხსენება 22 ოქტომბრიდან 2 ნოემბრამდე მომხდარ ამბებზე ჯერ გამოცხადებული არაა, თუმცა „რასტოროპნი“-მ ჩიფუში მიიტანა ეს მოხსენება. „ნოვოსტი დნია“-ს კორესპონდენტი ბ. ნ. ობ. დეპეშით იუწყება რუსის არმიის მთავარსადგომიდან, იაპონელები ისე ბეჯითად მდარაჯობენ ზღვიდან პორტ-არტურს, რომ აღარც ერთ ჯონკის აღარ უშვებენო. ეს ცნობა სარწმუნო წყაროდანაა მიღებული (ნ. ობ. რუსის შტაბის პოდპოლკოვნიკია) და მთლად აქარწყლებს ყველა იმ ხმას, ვითომ პორტ-არტურის ბლოკადა (შემორტყმული ალყა) შესუსტდა და პორტ-არტურში არა თუ მარტო ჩინელების ჯონკები, სამხედრო სურსათით დატვირთული გემიც-კი შევიდაო. რა დროიდან გაძლიერეს ასე იაპონელებმა პორტ-არტურის ბლოკადა, სწორედ არ ვიცით. ეხლა სულ 15—20 ვერსის სიგრძე ზღვის ნაპირი-და დარჩა გენ. სტესელის ხელში და ასე ცოტა ნაპირის თვალ-ყურის სადევნებლად 10—12 ნაღმიანი გემი და კრეისერი კმარა. ყოველ გემს მხოლოდ 3/4 ვერსის დარაჯობა შეჰხვდება ორსავ მხარეს, ესე იგი ისეთი მანძილი შეჰხვდება, რომ პროჟექტორის სინათლეზე მეზღვაურები პატარა ჯონკასაც-კი თვალით დაინახავენ. ჯანყის დროს, რასაკვირველია ერთი სამად და იქნება ერთი ოთხად მეტი გემიც დასჭირდეს, მაგრამ იაპონიის ფლოტს 120-ზე მეტი პატარა კრეისერი, კანონირი და ნაღმიანი გემი ჰყავს და რასაკვირველია, ადვილად შეუძლიან, ამ გემების მესამედი ბლოკადისათვის დანიშნოს. რამდენად გაუჭირვა საქმე ბლოკადამ რუსის მეციხოვნე ჯარს, მართლა რუსის სალდათებს ნახევარ პორცია საჭმელი ეძლევათ და კერძო ხალხს მეოთხედი პორცია (ასე ატყობინებდნენ „ნოიე ფრაიე პრესე“-ს ჩიფუდან), თუ არა, არ ვიცით. მაგრამ თვით რუსულ გაზეთების კორესპონდენტებიც-კი იუწყებიან მუკდენიდან, რომ პორტ-არტურის მეციხოვნე ჯარი ეხლა დიდ გაჭირვებაში უნდა იყოსო.

პორტ-არტურის მეციხოვნე ჯარმა სულ მცირედ კიდევ ოთხი თვე მაინც უნდა გასძლოს, სანამ პორტ-არტურთან გენ. კუროპატკინის არმიის ზარბაზანი დაიგრიალებს, ან ზღვაში ადმ. როჟესტვენსკის ესკადრა გამოჩნდება. აგერ 198 დღე შესრულდა, რაც პორტ-არტურს გზა აქვს მოჭრილი და კიდევ 120 დღეს გასძლებს თუ ვერა, ეგ იმაზე იქნება დამოკიდებული, რამდენი საკვები და სამხედრო სურსათი აქვთ რუსებს ციხეში და 20 ვერსის სიგრძეზე გამართულ სიმაგრეების დასაცველად საკმაო ჯარი დარჩათ, თუ არა. იაპონიის არმიების მთავარი შტაბი ოფიციალურად იუწყება, რომ ნოემბრის დამდეგს რუსებს პორტ-არტურში 20 ათასი კაცი ჰყავდათო. აპრილის გასულს კვანტუნის სიმაგრეებში რუსებს 38 ათასი სალდათი მეზღვაურთა რაზმები (დაახლოვებით 2 ათასი კაცი) და კერძო ხალხისაგან შემდგარი მილიცია ჰყავდათ; 1 მაისს აქეთ კვანტუნის ნახევარ-

კუნძულზე თითქმის 40 ათასი ჯარის კაცი მოემწყვდა. თუ გენ ნოგის ცნობა სწორეა, გამოდის, რომ ექვს თვეში, ალყის დროს, პორტ-არტურის მეციხოვნე ჯარს 20 ათასი კაცი, ანუ ნახევარი მოჰკლებია; აქედან ზოგს ბრძოლაში მოჰკლავდნენ, ზოგი ჭრილობისა და ავადმყოფობისაგან გარდაიცვლებოდა- ზოგსაც დაატყვევებდნენ. საშუალოდ დღეში 110 კაცი დაჰკლებიათ რუსებს. „ნოვი კრაი"-ს თანამშრომელს ბ-ნ ნოჟინს უამბნია ჩიფუში, რუსის მეციხოვნე ჯარს ალყის შემორტყმის შემდეგ 15 ათასი კაცი დააკლდაო, ეგაა არ ვიცით, ბ-ნ ნოჟინს ის ზარალიც (3,500 კაცი) აქვს ნაანგარიშევი აქა, 18 ივლისამდე, ანუ ალყის შემორტყმამდე გაშლილ ველზე ბრძოლის დროს რომ მოუვიდა რუსის ჯარს, თუ არა.

გენ. ნოგის მოქმედებაზე ჩვეულებრივ მეტად ცოტა ცნობა მოდის. გამოირკვა მხოლოდ, რომ ერლუნგშანის ფორტი ჯერ კიდევ რუსების ხელში ყოფილა. ეტყობა, გენ. სტესელს 2 და 6 ნოემბერს შუა იერიში მიუტანია იაპონელებზე, ერლუნშანის ფორტი უკან დაუბრუნებია და იაპონელები კონტრ-ესკარპებიდანაც კი გაუდევნია. გენ. ნოგის მოხსენებიდან სჩანს, რომ 6 ნოემბერს იაპონელებს ზარბაზანი დაუშენიათ ციხის არსენალთან საწყობი აუფეთქებიათ; ახალ ქალაქს რამდენგანმე ცეცხლი წაჰკიდებია. გაძლიერებულ ზარბაზნის სროლის დროს იაპონელები ერლუნგშანს დასცემიან და ხელახლად დაუჭერიათ ამ ფორტის კონტრ-ესკარპი. 9 ნოემბერს ხელ-ახლად დაუწყიათ ზარბაზნის სროლა, ქალაქს არსენალს ახლო ცეცხლი წაჰკიდებია და მეორე დილამდე არ ჩამქრალა. იმავ დღეს, როგორც ეტყობა, იაპონელებს შტურმი მიუტანიათ აღმოსავლეთ კიკვანშანის წინა სიმაგრეებზე და ფორტის წინ ზოგიერთი პოზიცია აუღიათ. ეს იქიდან სჩანს, რომ მეორე დღეს რუსები კიკვანშანიდან გასულან და იერიში მიუტანიათ, მაგრამ იაპონელებს უკუ-უგდიათ; ფორტის წინ პოზიციები რომ არ იყოს აღებული, რუსის დაქანცული მეციხოვნე ჯარი სიმაგრიდან როდი გავიდოდა იერიშის მისატანად. აი მხოლოდ ეს ვიცით ახალ შტურმზე. ტოკიოდან მიღებულმა „რეიტერის სააგენტო"-ს დეპეშამ კი გვაცნობა, ვითომ 6 ნოემბრიდან 11-მდე გენ. ნოგის არმიას 14 ათასი კაცი დაჰკლებოდეს პორტ-არტურთან. ეს ცნობა რომ სწორე იყოს, ამისთანა საშინელი შტურმი ჯერ ისტორიაში არ მომხდარა. იაპონელებს ამ შტურმის დროს 3 ათასი კაცით მეტი დაჰკლებიათ, ვიდრე ინგლისელებსა და ფრანგებს სევასტოპოლის შტურმის დროს. მაგრამ იმავ დეპეშაში სწერია, რომ იაპონელებმა ამ შტურმის დროს ორი ფორტი დაიჭირეს პანლუნშანზეო, მაშასადამე აქ ლაპარაკი აგვისტოში მომხდარ შტურმზეა. ეტყობა რუსეთის სააგენტოს ეს დეპეშა გადათარგმნის დროს დაუმახინჯებია; ეგეთი ზარალი გენ. ნოგის არმიას 6 ნოემბრიდან 11 ნოემბრამდე კი არა, 6 აგვისტოდან 11 ნოემბრამდე მოუვიდოდა. ცნობები გენ. ნოგის არმიის ზარალზე 6 აგვისტომდე იყო გამოცხადებული, და ტოკიოში ეხლა, ალბად, ახალი ოფიციალური ცნობები გამოაცხადეს, თუ რა ზარალი მოუვიდათ პორტ-არტურთან იაპონელებს 6 აგვისტოდან 11 ნოემბრამდე. იაპონურ ოფიციალურ ცნობებიდან სჩანს, რომ გენ. ნოგის არმიას $6^{1}/_{2}$ თვეში პორტ-არტურთან 32 ათასი კაცი დაჰკლებია. თუმცა ეს ციფრი სულ არ უდგება კორესპონდენტებისა და ჩინელების ანგარიშს, (ამათ ანგარიშით იაპონელებს პორტ-არტურთან 70—100 ათასი კაცი დააკლდათ) მით მაინც გენ. ნოგის არმიას საშინელი ზარალი მოსვლია. საშუალოდ თვეში იაპონელებს (ავადმყოფებს არა ვსთვლით) 5 ათასი კაცი აკლდებათ (მოკლული და დაჭრილი), ესე იგი მეტი ზარალი მოსდის, ვიდრე ფრანგებსა და ინგლისელებს მოსდიოდათ 1854—1856 წ.წ. სევასტოპოლის აღების დროს: იმათ ჯარს თვეში 4,750 კაცი აკლდებოდა".

გენ. ნოგის არმიისა და საზოგადოთ იაპონელების ჯარის ზარალს რიგზე მხოლოდ ომის შემდეგ გავიგებთ. იქნება ბ. ს. კ.—ს ანგარიშიც სწორე არ იყოს, რადგან მეტად არეული და გაზვიადებული ცნობა მოაქვთ დეპეშებს. ბ. ს. კ. გენ. ნოგის არმიის მოქმედებას მხოლოდ 9 ნოემბრამდე იხილავს. როგორც დეპეშებიდან ვიცით, 9 ნოემბერს აქეთ ბევრი საყურადღებო ამბავი მოხდა პორტ-არტურთან.

„ნოვოსტი დნია"-ს სამხედრო თანამშრომელი ბ. პ. დ. კ—ც ჰფიქრობს, რომ ნოემბრის დამდეგს პორტ-არტურთან უფრო გაძლიერებული ბრძოლა დაიწყო, იაპონელები უფრო დაუახლოვდნენ ციხეს და რუსის ჯარი თან და თან უახლეს განსაცდელში ვარდებაო. ბ-ნი პ. დ. კ. სწერს: „იმედი გვქონდა, რომ გენ. სტესელის მოხსენებას 21 ოქტომბრიდან 2 ნოემბრამდე მომხდარ ამბებზე გამოაცხადებდნენ;—ეჭვი არაა, „რასტოროპნი"-მ ეს მოხსენება ჩიფუში მოიტანა, მაგრამ, ჩვენი იმედი დღემდე არ გამართლდა. რაღაცა მიზეზით ეს მოხსენება არ გამოაცხადეს და დღემდე არ ვიცით, 21 ოქტომბრიდან 3 ნოემბრამდე რა ხდებოდა პორტ-არტურთან... გენ. ნოგის მოხსენებიდან სჩანს, რომ 6 ნოემბერს იაპონელებს უმთავრესი იერიში რკინის გზის პირ-პირ მიუტანიათ და ერლუნშანისა და სუნშუშანის ფორტების კონტრ-ესკარპები დაუჭერიათ. ერლუნშანი რკინის გზის აღმოსავლეთ მხარესა მდებარეობს, სუნშუშანი დასავლეთ მხარეს. კონტრ-ესკარპების აღება მოასწავებს, რომ იაპონელები ძლიერ დაახლოვებიან ამ ფორტებს. ეხლა იაპონელებსა და რუსებს მხოლოდ ფორტის გალავანი და ნაპირა თხრილი-ღა ჰყოფთ. თუ იაპონელები სუნშუშანსა და ერლუნშანს აიღებენ, პორტ-არტურის აღმოსავლეთისა და დასავლეთის ნაწილები თითქმის მთლად დაშორდება ერთმანეთს; რუსებს ციხის ერთ ნაწილიდან მეორეში გადასვლა შიდა ნავთ-სადგურზე ნავებით-ღა შეეძლებათ, თორემ ხმელეთით აღარა. რაკი ამ ფორტებს და მეტადრე ერლუნშანს ასეთი დიდი მნიშვნელობა აქვთ, უნდა ველოდეთ, რომ რუსის მეციხოვნე ჯარი ერლუნშანსა და სუნშუნშანს ადვილად არ დასთმობს".

იაპონიის შტაბის უფროსს გენ. კოდამას საუბრის დროს უთქვამს ამერიკელ კორესპონდენტისათვის: „პორტ-არტური მეტად მაგარი, ძნელი ასაღები ციხეა, მაგრამ მაინც დარწმუნებული ვარ, რომ საზამთროდ იაპონელები ციხეში დაბინავდებიან. მალე მეტად მნიშვნელოვანი წამი დადგება: პორტ-არტურთან რუსისა და იაპონიის არტილერია შეებრძოლება ერთმანეთს. რომ შეიძლებოდეს, მთელის ქვეყნიერობის ტაქტიკებს მოვიწვევდი ამ ბრძოლის საყურებლად". კორესპონდენტს უკითხავს, განა ციხის ბედს საბოლოოდ ქვეითა ჯარი არ გადასწყვეტსო. კოდამას უპასუხნია: „არა, ციხის ბედს სტრატეგია, ტაქტიკა და საინჟენერო ხელოვნება გადასწყვეტენ. რუსებს ჯერ კიდევ 20 ათასი კაცი ჰყავთ პორტ-არტურში, ჩვენ 60 ათასი კაცი გვყავს". კოდამამ დაუმატა: ჩინეთ-იაპონიის ომის შემდეგ პორტ-არტურის ფორტები სულ სხვანაირად აუშენებიათ და გაუმაგრებიათო. ეხლა არც ერთ ფორტზე არ ითქმის, რომ ესაა ციხის ყელიო. ასე რომ ერთის ფორტის აღებას, ანუ დანგრევას სხვა ფორტების აღება როდი მოსდევსო. („ნ. დ.").

„სტანდარდ"-ს ატყობინებენ ტოკიოდან: ზღვის ნაპირზე მდებარე ფორტები ზარბაზანს აღარ ესვრიან იაპონელებსაო. რუსის გემები დაზიანებულია და ზღვაში გასვლა არ შეუძლიანთო. („ნ. დ.").

პორტ-არტურიდან ვეიხაივეიში კაცები მოვიდნენ და ილაპარაკეს, რუსები დიდ გაჭირვებაში არიან, საავადმყოფოებში 20 ათასი დაჭრილი და სნეული წევსო. საჭმელი სურსათი ბევრი აქვთ, მაგრამ კარგი სასმელი წყალი აკლიათო. („ნ. დ.").

ინგლისური გაზეთები იუწყებიან, ინგლისის გემი „ტუნგოი" 10 ნოემბერს შანხაიდან პორტ-არტურს წავიდა, ხორცის კონსერვები მიჰქონდა. გემი გზაში იაპონელებმა დააყენეს და დაატუსაღესო. კონსერვები რუსეთ-ჩინეთის ბანკის გაგზავნილი იყო და 260 ათას ტაელად ღირდა. ამ გემზე სულ 30 ათასი ქილა კონსერვი ედოო. („ნ. დ.").

„პტი ჟურნალ"-ის პეტერბურგელი კორესპონდენტი მაინც იუწყება, პორტ-არტურში გემებით ახალი ზარბაზნები შეიტანესო. ვლადივოსტოკიდან ორის გემით არტილერია და სამხედრო და საკვები სურსათი გაგზავნეს პორტ-არტურში; თითო გემზე 40 დიდი ზარბაზანი ედო. ერთმა გემმა მოასწრო პორტ-არტურში შესვლა, მეორეს-კი იაპონელები გამოუდგნენ და ისევ ვლადივოსტოკში დაბრუნდაო. („ნ. დ.")

ახალი ამბავი

✦ ქუთაისიდან გაზეთ „რუს"-ს დეპეშით ატყობინებენ: „სააგენტოს დეპეშებიდან უკვე იცით, რომ შუადღისას ქუთაისში მოჰკლეს ჯინორიძე. ამ მკვლელობას კავშირი აქვს იმ დიდ სისაძაგლესთან, რომელიც ამ ხუთის წლის წინად აღმოაჩინეს. დამნაშავეთ შეჰქმნეს ამხანაგობა ყალბ თავად-აზნაურობის საბუთებისა და გრამოტების შესადგენად. ამხანაგობა ამ ყალბ საბუთებს იმერეთის მეფის სოლომონისა და სამეგრელოს მთავრების დავით და ლევან დადიანების მიერ ბოძებულ ქაღალდებად ასაღებდნენ. ქუთაისში აღმოაჩინეს ყალბ საბუთებისა და გრამოტების დამმზადებელი ექსპედიცია, ხოლო ტფილისში—ამ ექსპედიციის განყოფილება ყალბ დაბადების მოწმობების შესადგენად. ქუთაისის საგუბერნიო გამგეობაში აუარებელი სიყალბე აღმოჩნდა. ჰნახეს, რომ წიგნებსა და ჩაკერულ ქაღალდებში ახალის მელნით აქა-იქ ჩაეწერათ და ჩაემატებინათ. ამ ჩამატებით და ჩაწერილებით უნდოდათ დაემტკიცებინათ სინამდვილე ყალბად დამზადებულ საბუთების და გრამოტებისა. მთელს გუბერნიაში აგენტები იყვნენ აზნაურობისა და თავადობის მაძიებელთა დასახმარებლად. ვიცე-გუბერნატორის მიკლაშევსკისა და საგანგებო საქმეთა გამომძიებლის კლევენსკის მეცადინეობით ამ გაიძვერობის უმთავრესი მოღვაწენი საპყრობილეში მოჰყვნენ. მაგრამ მიკლაშევსკისა და კლევენსკის უეცარმა სიკვდილმა საქმეს სხვა მიმართულება მ[illegible]ელა გმირი გაანთავისუფლეს. ამ ექსპედიციის გამგემ აშორდიამ თავისი თავი შავი ზღვის მოუსვენარ ტალღებს მისცა, ნამდვილად-კი ეს ვაჟბატონი დღესაც ცოცხალი და ჯანრთელია. ეს სასენსაციო საქმე ქუთაისის ოლქის სასამართლოში განსახილველად დანიშნულია 7 ოქტომბრისთვის და, აი, ამ სამი დღის წინად, სხვათა ჰკუის სასწავლებლად, შუადღისას ქალაქის შუაგულ მოჰკლეს ჯინორიძე, ამ საქმის უმთავრესი მოწმე. ხელ-ახლა ხდება ის, რაც ბაქოში ს. დ. სტაროსელსკის მოკვლის დროს მოხდა.

✦ გუშინ, 20 ნოემბერს, კავკასიის მთავარ-მართებლის თანამდებობის აღმასრულებელს **გენერალს ი. მ. მალამას** წარუდგნენ ტფილისის გუბერნატორი, ვიცე-გუბერნატორი, კავკასიის მთავარ-მართებლის საბჭოს წევრნი, კანცელარიის უფროსი მოხელენი, გუბერნიის თავად აზნაურთა წინამძღოლი, სამოსწავლო უწყებისა, პოლიციისა და სხვა უწყებათა და დაწესებულებათა წარმომადგენელნი და გენერლობა.

✦ ტფილისის საბჭოს საფინანსო კომისიამ 19 ნოემბერს დაამთავრა 1905 წლის შემოსავლის განხილვა. კამათი გამოიწვია იმ მუხლმა, რომელიც შეეხება **ქალაქის მიწების** იჯარით გაცემას. ხმ. ს. თ. ჭრელაშვილმა განაცხადა, საჭიროა ქალაქის ადგილები მივყიდოთ მოიჯარადრეებსაო. მოიჯარადრენი დროებით სახლებს იშენებენ და რადგან იციან, რომ ადრე თუ გვიან უნდა დასცალონ ადგილი, ყურადღებას არ აქცევენ იმის მოწყობა-რიგებას. ამის მიზეზია, რომ ქალაქის ის ნაწილები, სადაც მოიჯარადრენი არიან, მანგრეულ-მონგრეულია, ქუჩები მოუკირწყლავი, უსწორ-მასწორო და ვიწროა და სხვა. თუ უმრავლესობის სურვილს აღვასრულებთ და იჯარით გაცემულ მიწებს შევყიდვით,—სთქვა ხმოსანმა,—ქალაქი გაიზრდება, ადგილები გამშვენდება და ქალაქი მეტს სარგებლობასა ჰნახავსო. ამიტომ ვთხოვოთ საბჭოს, დაარღვიოს თავისი წინანდელი გადაწყვეტილება და ნება დართოს გამგეობას, გაჰყიდოს საიჯაროდ გაცემული ადგილი იმ პირობით, რომ აღებულის ფულით ახალი ადგილები შეიძინოსო. კომისიამ მიიღო ეს წინადადება. ამავე დღეს კომისიამ მოისმინა ხმ. ა. გ. ჯაბადარის განცხადება ხორცის ვაჭრობის შესახებ. ხმოსანმა განაცხადა, ქალაქი გაიზარდა, მაშასადამე ბევრი საქონელი უნდა იკვლებოდეს ქალაქის საყასპოში. მიუხედავად ამისა, საყასპოს შემოსავალი-კი არ მატულობს, კლებულობსო. ეტყობა, ყასბები ჩუმად ჰკლავენ საქონელსაო. კომისიამ დაადგინა, სთხოვოს ქალაქის გამგეობას მეტი ყურადღება მიაქციოს ხორცის ვაჭრობის საქმეს.

✦ 17 ნოემბერს ბაქოსა და ბალაჯარში **ხოლერით ავად გახდა** 13 კაცი, მოკვდა ხუთი. განჯის გუბერნიაში 13-დან 17 ნოემბრამდე ავად გახდა 22 კაცი, მოკვდა 17 კაცი. 17 ნოემბერს აჯიკაბულში ავად გახდა ოთხი კაცი. აჯიკაბულშივე 19 ნოემბერს ავად გახდა ორი მუშა. ორივე ბაქოს ხოლერიანთა ბარაკში გაგზავნეს. 19 ნოემბერს ერევნის რკინის გზის ეჩმიაძინის სადგურზე მატარებელს № 76-ში აღმოჩნდა ხოლერიანი, რომელიც ერევანს წაიყვანეს.

✦ ამიერ-კავკასიის რკინის გზის მიმოსვლის უფროსმა განკარგულება მოახდინა, რომ თუ ვინიცობაა ბაქოსა და ერევნის გზებზე ვაგონში **ხოლერიანი აღმოჩნდა**, ხოლერიანთან ერთად უნდა შეაჩერონ და დეზინფექცია უყონ ავადმყოფის საქონელსაც, რომელიც ბარგით მიაქვთ.

✦ ამიერ-კავკასიის რკინის გზის სასანიტარო კომისიის განკარგულებით, **გორის სადგურზე ექიმმა**, სადგურის უფროსმა და ჟანდარმებმა უნდა გასინჯონ ხოლმე სამგზავრო მატარებლები №№ 3, 5 და 7.

✦ 19 ნოემბერს მოხდა სხდომა ტფ. ქალაქის გამგეობისა და ხმოსან-იურისტებისა გამგეობის **საიურისკონსულტო შტატის** შეცვლის შესახებ. თავის დროზე უკვე ვწერდით, რომ ეს ნაწილი გამგეობას ძალიან ცუდად აქვს მოწყობილი და ბევრი საქმე დაუდევრობით წაუგია ქალაქს. კრებამ დაადგინა, დასტოვოს აღნიშნულ სტოლის შტატი შეუცვლელად, მხოლოდ მოიწვიონ მეორე ვექილი, რომელსაც ჯამაგირად 2400 მან. დაენიშნება. ამ ვექილმა კერძო პრაქტიკას თავი უნდა დაანებოს.

✦ **იაპონიაში სხვა ტყვეებთან** ერთად ყოფილა აღმოსავლეთ ციმბირის მესამე პოლკის სალდათი სერგეი საბაშვილი. საბაშვილი დაუჭერიათ.

✦ **დ. ხაჩხერეში**, როგორც გვატყობინებენ, 1905 წლის პირველ იანვრიდან არსდება სამკურნალო 12 საწოლით. სამკურნალოში იქნება ორი ექიმი და სამი ფერშალი.

✦ ამ დღეებში, როგორც ვწერდით, პოლიციის მე-9 ნაწილში ქუჩაში მიმავალ ალექსანდრე კოკუაშვილსა და დიმიტრი კორჩაგინს **მიჰვარდა ვიღაც კაცი**: პირველი მოჰკლა, ხოლო მეორე სასიკვდილოდ დასჭრა. პოლიციას უკვე დაუჭერია ბოროტმოქმედი, რომელიც აღმოჩნდა ქუთაისის მცხოვრები იაკობ ნიკოლაიშვილი. ნიკოლაიშვილი გამოტყდა და განაცხადა, საქმე ჯავრის ამოსაყრელად ჩავიდინეო.

✦ როგორც „რუს. ინვ."-შია დაბეჭდილი, 25 სექტემბრიდან 5 ოქტომბრამდე მომხდარ **ბრძოლებში დაჭრილა**, სხვათა შორის, აღმოსავლეთ ციმბირის მე-19 პოლკის კაპიტანი დავით ლავრენტის ძე არდაზიანი.

✦ **ქუთაისის პოლიცმეისტერად ნამყოფი ძ. ხვიმოშოვი** დაინიშნა განჯის მაზრის უფროსის თანაშემწედ.

✦ ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის კონტორის უფროსი ბლინოვი რუსეთს გადაჰყავთ. იმის მოადგილეს რუსეთიდან ნიშნავენ.

✦ დაბა საჩხერის მცხოვრებნი შუამდგომლობენ საჩხერეში საფოსტო განყოფილების დაარსების შესახებ. თუ შუამდგომლობა სასურველად გადასწყდა, თავ. გ. დ. წერეთელი სადგომს უფასოდ უთმობს განყოფილებას სამის წლით.

✦ დღეიდან ავლაბრის (მურაშკოს) თეატრში დაიწყება სახალხო იაფ-ფასიანი წარმოდგენები. კვირაში ერთი წარმოდგენა გაიმართება (ერთი კვირა საღამოთი და ერთიც შაბათს). ამ წარმოდგენებს გამართავს ავლაბრის სცენის მოყვარეთა ამხანაგობა; ხან-და-ხან ავჭალის სახალხო თეატრის სცენის მოყვარენიც მიიღებენ მონაწილეობას. დღეს წარმოდგენილი იქნება დრამა „თამარ ბატონიშვილი".

✦ ავლაბარში თელავის ქუჩის მცხოვრებლებმა რამდენჯერმე სთხოვეს ქალაქის გამგეობას მოეკირწყლა ხსენებული ქუჩა, რადგან ძლიერ გასაჭირია იქ სიარული დარსა და ავდარში. ამ დღეებშიც სთხოვეს, მაგრამ ამათ—არც ახლა მიაქციეს ყურადღება. ამ ქუჩაზეა მურაშკოს თეატრი და სცხოვრობს დიდ-ძალი ხალხი. საკვირველია, რომ ქალაქი ყურადღებას არ აქცევს მცხოვრებთა თხოვნას.

✦ ტფილისის საბჭოს საფინანსო კომისიამ

ფელეტონი

პატარა ამბები

ახირებული თუ უარესი მდგომარეობა.—მოთმინებაც გმირობაა?!—ჩვენებური ფოსტა.—გაზეთის კითხვა საშიშია.—სიღნაღის სკოლა.—ჩვენებური სურათები.

ახირებულ მდგომარეობაში ვიმყოფებით... ამ „ახირებულის" მაგიერ შეიძლებოდა სხვა უფრო მოხერხებული სიტყვა მეხმარა, უფრო მაგარი, ბევრის მეტყველი სიტყვა, მაგრამ ნუ დაივიწყებთ იმას, რასაც წარსული კვირის ფელეტონში ვლაპარაკობდი: მე ვამბობ, რაც არ მინდა ვსთქვა, სათქმელი კი ფელეტონის გარედ რჩება და მას არ მოუპოვება ჯერ მოქალაქობრივი უფლება. „მოსკოვის უწყებები" ამტკიცებენ, რომ უფლება უნდა მიეცეს რუსეთში მხოლოდ ძალმომრეობას და სიტყვას რომ უფლება მივცეთ, ვნების მეტს არაფერს მოგვიტანსო...

რა არის, ბატონებო, სიტყვა? ესეც ახირებული კითხვაა, მაგრამ რას იზამთ, რომ ჩვენს დროში ყველაფერი გადატრიალდა და ცხადი და დასაჯერებელი ამბავი ბნელი და დაუჯერებელი შეიქნა. მთელ საქართველოში, შეიძლება, ორი-სამი თუ მოიპოვება ისეთი, რომელსაც შეეძლოს უთხრას თავის თავს: მე მე ვარო! აბა რომელი ქართველია, რომელმაც დღეში სამჯერ მაინც არ უარჰყოს თავისი ქართველობა? აბა, ვინ არის ჩვენში, რომ იესოს სახეზე არ ლოცულობდეს და იმავე დროს იესოს მცნებას არ ჰგმობდეს?

მოდით და ჩვენს დროში ნუ იკითხავთ, რა არის სიტყვა, ენა, რა დანიშნულება აქვს თვალებს, ყურებს? ბევრს პირველის შეხედვით მეტად ადვილი ეგონება ასეთი კითხვა, მაგრამ რომ ასეთი კითხვა მეტად ძნელია, ეს იქიდან სჩანს, რომ ჩემს მკითხველებში ათში ერთი თუ მოგვცემს მართალს პასუხს ჩემს კითხვებზე. რა არის ენა? მოუფიქრებელი მკითხველი უცბად მიპასუხებს: ენა არის ადამიანის ორგანო, რომლითაც მან უნდა გამოხატოს და გამოსთქვას, რასაც გრძნობს მისი ორგანიზმი, ენა არის იარაღი, უძლიერესი იარაღი თავის დაცვისათვის, ენით გამოვხატავთ ჩვენს გაჭირვებას და დაღონებას, ენით ვამცნევთ ჩვენს მდგომარეობას არამც თუ სხვას, ჩვენს საკუთარს თავსაც, რადგან ჩვენი გრძნობა და ფიქრი მანამდის უხილავი, ხილული შეიქნება მას შემდეგ, რაც გამოვსთქვამთ მას ენით. მერე განა მართალია ესა? ენა ჩვენი სულის და გულის გამომხატველია?.. ეს ბავშვებს თუ ჰგონიათ ასე, თორემ არც ერთი სერიოზული, გამოცდილი ადამიანი ამას არ დაიჯერებს! ან განა თვალები და ყურები იმიტომ გვაქვს, რომ დავინახოთ და გავიგონოთ, რაც ჩვენს გარშემო ნამდვილად არსებობს და ხდება? ვის გაგონილა! მალე დაბრმავდებოდნენ ის თვალები, რომელნიც დაინახავდნენ ყველაფერს სინამდვილეს... ეჰ უნდა გვქონდეთ ცრუმორწმუნეობა და ყალბი აზრი და თამამად ვსთქვათ: თვალები და ყურები ორგანოებია, რომლების შემწეობით შეიძლება დავინახოთ და გავიგონოთ მხოლოდ ნებადართული და მოწონებული! ამიტომ, თუ ვინიცობაა, თქვენმა უფროსმა უსამართლოდ გალანძღათ ან სადგომი გწხლიტათ ცხვირში, ეს არც გასაგონია და არც საგრძნობია, თუ ამაზე უფროსის დასტური არა გაქვთ.

ამის შესახებ სიტყვის გაგრძელება არა ღირს და ძალიან ვწუხვარ, თუ ეს ჩემი მკითხველებისათვის ბუნდოვანია!..

* *

ზევით ვსთქვი, ახირებულ მდგომარეობაში ვიმყოფებით მეთქი იმიტომაც რომ ახირებული მდგომარეობაა: ჯერ პირიც არ გაგვიღია, ხმაც არ ამოგვიღია, კაცმა არ იცის, მადლობას ვამბობთ, თუ საყვედურს, და გრინგმუტი და მისთანები უკვე ყელში ხელს გვიჭერენ და ლამის დაგვახრჩობენ: „მაშ თქვენ აგრე, კრიტიკას ჰბედავთო"?! გვიყვირიან და ყარაულებს იწვევენ ჩვენდა დასარბევად.

რა მწარე უნდა იყოს იმ კაცის ბედი, რომელიც ასეთს ყოფაშია! დედამიწაზე ბევრნაირი გმირობაა, გმირობის საოცარ მაგალითებს გვიჩვენებს ისტორია, მაგრამ მეტად საკვირველი თავისებური გმირია ის ადამიანი, რომლის მოთმინებას არ აქვს საზღვარი. ჩვენში ზოგიერთები (მათი რიცხვი მრავალია!) ხმა მაღლა ავტორიტეტულად გაიძახიან: ზეინაბ ბ. სუმბათაშვილმა ყალბად დაასურათა, სიმართლეს მოკლებულია სრულიად ზეინაბის ხასიათი, უბრალოდ შეუძლებელია, რომ ზეინაბს იმდენი დამცირება და შეურაცხყოფა მოეთმინაო. ასე ლაპარაკობენ ისინი, რომელთა ცხოვრება განუწყვეტელი დამცირება და დაჩაგვრაა მხოლოდ, ასე ლაპარაკობენ და ამასთანავე იმდენად თავხედნი არიან, რომ თავგანწირულებასა და სამშობლოს გაბედნიერებაზედაც ოცნებობენ...

ისტორიამ იშვიათს მოთმინებას მიგვაჩვია და ამით თამამად შეგვიძლია მოვიწონოთ თავი. თუ ისტორიაში ყველამ ერმა შეიტანა თავისი წვლილი, ჩვენც სრული საბუთი გვაქვს—ასეთი საბუთები მეეზოვეებისაგანაც შეგვიძლია მივიღოთ, აღვბეჭდოთ ისტორიის ფურცლებზე: „ჩამომავლობავ, გვიგონებდე, არ დაგვივიწყო! ადამიანებს გვიწოდებდნენ, მაგრამ არა გვქონდა ადამიანის გული. ენა გვქონდა, მაგრამ არას ვამბობდით, ღმერთმა სიცოცხლე მოგვცა, მაგრამ გვიყვარდა სიკვდილი!.. გვიგონებდე, არ დაგვივიწყო!"

ნაციონალისტები ამბობდნენ: კაცობრიობაში ყოველს ერს—ერს თავისი განსაკუთრებული ხმა აქვს და ყველა ერები ერთად შეადგენენ ერთს ჰარმონიულს ხოროსო. ჩვენც, უეჭველია, აუცილებლად საჭირო ხმა გვაქვს ამ ხოროში. ეს ხმაა დაცემულის, დავარდნილის, დამახინჯებულის, პიროვნება-დაკარგული ადამიანის ხმა ეს ჩვენი ხმა მეტად არის საჭირო კაცობრიობის ხოროში, რომ უფრო ძლიერ, უფრო გარკვევით გამოჩნდეს მასთან შედარებით კეთილშობილის, თავისუფლის, მამაცის ადამიანის ხმა!..

ყველაფერს და ყველას დედამიწაზე თავისი დანიშნულება აქვს და ჩვენ მადლობა უნდა შევწიროთ განგებას, რომ რაიმე დანიშნულება გვარგუნა!

* *

ბევრი ჩემი მკითხველი, ამ სიტყვებს რომ წაიკითხავს, გულმოსულად შემომხედავს და მისაყვედურებს: „კარგია, თავი მოგვაბეზრე შენის პესიმიზმით (?), ტყვილად ცდილობ გვწამებ.. შეიძლება ცილისწამებაც არ იყოს, მაგრამ... მაგრამ..." და მკითხველი აღარც გაათავებს, თავს არ შეიწუხებს ასეთის კრძალვის მსჯელობით, იგი დაჩვეულია მოსვენებულს ცხოვრებას და არც ახლა უნდა მყუდროება დაარღვიოს ჩემმა ფელეტონმა.

ღმერთმა მშვიდობა მისცეს ასეთს ადამიანებს. მაგრამ ძალიან სცდებიან, თუ ჰგონიათ, რომ მშვიდობა მოზომებული ექნებათ, თუ მე ყურს არ დამიგდებენ. აი, მაგალითად, ნუ თუ მოსვენებით და მშვიდობით იყო ეს ოთხი-ხუთი დღე ის ჩემი მკითხველი, რომელიც რუსეთის ფოსტით წერილს მოელოდა შვილისაგან, ცოლისაგან ან მეგობრისაგან, რომლისაც ფული უნდა მიეღო ან თვითონ უნდა გაეგზავნა ძვირფასი ადამიანისათვის, რომელიც მეტად დაინტერესებულია დღევანდელის ომის ამბებით და შინაურის საქმეებით და გულის ფანცქალით მოელის სატახტო ქალაქების გაზეთებს, სადაც უფრო მართალს ამბებს წაიკითხავს, ვიდრე ადგილობრივ გაზეთებში, რადგანაც სამხედრო ძველი გზა გაფუჭებულია, რუსეთის ფოსტა კავკასიაში გაჩერებული, რუსეთში გასაგზავნი კი—ტფილისში და ფოსტის მმართველობას არ უნდა რკინის გზით გაგზავნოს წერილები და ჟურნალ-გაზეთები? ჭეშმარიტად უგულო და უგრძნობელი უნდა იყოს ადამიანი, რომ მისი მშვიდობიანობა არ დაარღვიოს ასეთმა გაუგებარმა და შეუფერებელმა მოქმედებამ! მშვენიერად მოწყობილი რკინის გზა გვაქვს და ამავე დროს ათასი და ათი ათასი საჭირო ქაღალდი და საქმე კავკასიაში უნდა ეყაროს, ვიდრე ცა არ მოიღებს წყალობას, მზე არ გაადნობს თოვლს და არ გასწმენდს გზას ფურგონისათვის!. დარწმუნებული ვარ, განათლებულ ქვეყნებში არც კი დაიჯერებენ ასეთს ამბავს და ჩვენ კი ხმის ამოღებაც კი არ შეგვიძლია ამის წინააღმდეგ, რომელიც პირდაპირ ჩვენს ინტერესს შეეხება, წერილის გასაგზავნად ფული გადაგვიხდია და წერილი კი თავის დროზე არ გადაუცია,—ხმის ამოღება არ შეგვიძლია, რადგან „მოსკოვის უწყებები" მაშინვე დაგვიყვირებენ: როგორ? კრიტიკას ჰბედავთო!

გაზეთი არაფერს გეტყვის, მკითხველო, არაფერს! მაგრამ ამით განა უფრო დაიძრება კავკასიიდან ფოსტა?..

* *

ამიტომაც არის, რომ სამტრედიის სამკითხველოში არ მოიპოვება არც ერთი ქართული ჟურნალ-

დაადგინა, ქალაქის ადგილებში გაიმართოს ქალაქის აგურხანები და აგრეთვე სთხოვოს გამგეობას, რომ მნაცკანოვის ხიდი იჯარით იქმნეს გაცემული.

✦ ბებუთოვის ქუჩაზედ, მაკაროვის სახლში შემდეგი ამბავი მოხდა: მაკაროვის მეეტლე აივაზოვთან 19 ნოემბერს საღამოს 9 საათზედ, მისულა 16 წლის ანდრონიკაშვილი და ხუმრობით უთქვამს, დაიჩოქეო, და თანაც რევოლვერი მიუმიზნებია. ყმაწვილს ჰგონებია, რევოლვერი ცარიელი იყო და ჩახმახი დაუცემინებია. ტყვია გავარდნილა და მეეტლეს ბარძაყში მოჰხვედრია. დაშავებული მიხეილის სამკურნალოში წაიყვანეს.

✦ 18 ნოემბერს პოლიციის მე-4 ნაწილში მონავლებულა დროებით ტფილისში ჩამოსული არუთინ ბაგიროვი. როცა იგი მიახლოვებია ვაჟთა მესამე გიმნაზიის სადგომს, შეჰხვედრია ორი უცნობი კაცი და უთქვამთ, ფულით სავსე ქისა დავკარგეთ და უთუოდ შენ იპოვნიდიო. შეფიქრიანებული ბაგიროვი თავზედ ქურდებს გაუსინჯავთ, ჩუმად ჯიბიდან 200 მან. ამოუცლიათ და გაქცეულან. ჯიბგირების დაჭერა ველარ მოასწრეს და ვერც შეიტყვეს მათი ვინაობა.

✦ პოლიციის მე-3 ნაწილში მანთაშევის სახლში რაჭის მაზრის მცხოვრებთ სტეფანე გვეტაძისა და ალექსი გიორგობიანისთვის ქურდს მოუპარავს ნივთები და ფული 27 მან. 90 კაპ.

დღევანდელ ნომერთან ერთად ხელის მომწერთ ურიგდებათ **სურათებიანი დამატება № 272.** შინაარსი: ⁂—ლექსი დ. თომაშვილისა, „წერილი მეგობართან“,—ლექსი ბ. ახოსპირელისა, „ლოტბარი და მაწანწალა,“ (დასასრული), კომედია გესი, თარგ. ვ. შალიკაშვილისა, სხვა-და-სხვა ამბები; სურათი: „ოლქის სასამართლოს კარიდორში“,—სურათი კასატკინისა, „სიკვდილის მოახლოვება“—სურათი ორლოვისა, რუსების დაბრუნება ლიაოიანის ბრძოლის შემდეგ და ორი კარიკატურა.

ქუთაისის ახალი ამბები

✦ ქალაქის აფთიაქის მმართველმა წარუდგინა ქალაქის გამგეობას მომავალ წლის შემოსავალ-გასავლის სავარაუდო აღრიცხვა. აქედანა სჩანს, რომ აფთიაქის სავარაუდო შემოსავალი იქმნება 36,000 მანეთი, მოსალოდნელი ხარჯი კი 23,000 მანეთი. ამ რაოდენობაში შედის აფთიაქის ძველი ვალის 2,000 მანეთის გასტუმრება და აფთიაქის საელექტრონო განათების ხარჯი 5000 მანეთი. ამგვარად აფთიაქის წმინდა შემოსავალი იქმნება 13,000 მანეთი. ამ ჟამად აფთიაქს ჰყავს ერთი მმართველი პროვიზორი, ერთი პროვიზორი—რეცეპტარიუსი, 3 პროვიზორის თანაშემწე, ხუთი აფთიაქის მოწაფე, ერთი კასირი, ორი აფთიაქის მოსამსახურე, ერთი მეეზოვე და ერთიც ღამის ყარაული.

✦ ქვიტირის საზოგადოებაში საქონლის ჭირმა ორს ადგილს იჩინა თავი: ზემო ქვიტირში და ქვემო ქვიტირში. 15 ნოემბრამდის ზემო ქვიტირში მომკვდარა ამ სენით 5, ერთიც, ჭირიანად ცნობილი, შეფასების შემდეგ მოუკლავთ; ქვემო ქვიტირში კი ჯერ მხოლოდ ერთი პირუტყვი მომკვდარა. პირველად ჭირი გაჩენილა ერთის გლეხის, ლეკაძისას, რომელიც დაკლულ საქონლის ტყავებს ჰყიდულობს ქუთაისში საქალამნეებად; ამბობენ, ჭირი უთუოდ ამ ტყავებს გაჰყვაო. ქვიტირში გზები შეკრულია, ასე რომ არც სხვა სოფლებიდან შეიძლება ამ სოფელში საქონლის შეყვანა, არც ამ სოფლიდან სხვაგან გაყვანა. საქონელი ყველას სახლში უბია და ზამთრისათვის მომზადებულ საკვებს ეხლა აჭმევენ.

✦ 7 ივლისი[illegible]ექტემბრამდის ს. ბ. თოფურიას საავადმყოფოში, რომელსაც ეხლა ქალაქი განაგებს, წოლილა სულ 50 ავადმყოფი. მოქმედების დაწყების დროს საავადმყოფოს მიუღია ავანსად ქალაქის კასიდან 150 მანეთი; თვის დამლევამდის შემოსვლია საავადმყოფოს 2179 მან. და სამკურნალოს 249 მან., სულ—2578 მან. ამ ფულიდან დახარჯულა სულ 1694 მან. და 58 კაპ., ასე რომ—1 სექტემბრისათვის საავადმყოფოს კასაში დარჩენილა 883 მან. და 42 კაპ. აქ ხარჯების ანგარიშში არაა ნაჩვენები საავადმყოფოს საიჯარო გადასახადი, მაგრამ, ისიც რომ ვიანგარიშოთ, შემოსავალი ხარჯს მაინც ჰფარავს.

✦ ქუთაისის უმთავრესი ქუჩები, როგორც იქმნა, ქუჩებს დაემსგავსა. ამ წლის განმავლობაში ქალაქის გამგეობამ მოკირწლა რიყის არჩეულ ქვით პოლიციისა და ლევაშოვის ქუჩები, ივანოვის ქუჩის ნაწილი, ტფილისის ქუჩა, რომელსაც გასამაგრებლად ზემოდან ბათომიდან მოტანილი ზღვის ხრეში მოაყარა, ორპირის ქუჩა ხონის გზატკეცილამდის, იურჩენკოვის, ქარვასლისა, გიმნაზიისა და პუშკინის ქუჩები, პოლიციის მოედანი და სხ. ამ ქუჩების გაკეთებას ძლიერ ბევრი ფული დასჭირდა. კარგი საქმე ჰქმნა წყლისაყვანის ამხანაგობის მიერ გირაოდ წარდგენილმა 30,000 მანეთმა, რომელიც თითქმის სულ ქუჩებს მოხმარდა, თორემ ქალაქი ამ ქუჩებს თავის ფულით ვერ გააკეთებდა.

✦ ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექციის მოწერილობა გაუგზავნია პირველ დაწყებით სკოლების მასწავლებელთათვის, უსათუოდ ლევიტსკის „კურსი“ იხმარეთ სასწავლებლებში სახელმძღვანელოდო. მასთან, რადგან ბ-ნ ლევიტსკის, თურმე ნაღდ ფულზე ვაჭრობა უყვარს და მემაღაზიეებს საკომისიოდ არ უგზავნის თავის წიგნებს, დირექცია ავალებს მასწავლებელთ, ყველამ ფასდადებით გამოიწერეთ წიგნები პირდაპირ ავტორისაგანო.

✦ 16 ნოემბერს ქალაქის გამგეობაში არ შესდგა საჯარო ვაჭრობა ხიდების შემოსავლის იჯარით გასაცემად, ხელახალი ვაჭრობა მოხდება 20 ნოემბერს.

თავ. გ. დ. ერისთავის სახსოვრად

(წაკითხული 6 ნოემბერს ქუთაისის თეატრში)

თავ. გ. ერისთავი დაიბადა ქართლში 1811 წელს. იგი იყო შუათანა შვილი წარჩინებულის ქართლის თავადიშვილისა, ქსნის ერისთავის დავითისა, რომელსაც ცოლად ჰყავდა ივანე მდივნის, ქობულაშვილის ასული მარიამ. ათ წლამდის გიორგი იზრდებოდა სოფელში და კარგს პირობებშიაც იზრდებოდა. ამ პირობათა შორის უმთავრესი ადგილი ეჭირა ზედ-მოქმედებას ერთის მხრივ ქართლის თვალის-წარმტაც ბუნებისას და მეორეს მხრივ სათნო ხასიათისა და დიდის ზნეობის დედისას, რომელმაც შვილს სიყრმიდანვე ჩაუნერგა გულში ქართულის ენისა და მწიგნობრობის სიყვარული. ზედ-მიწევნით იცოდა ამ სამაგალითო ქართველმა დედამ სამშობლო ენა და შვილსაც ტკბილ ძუძუსთან ჩაუდაშა იმისი სიყვარული. ამ დედის წყალობით იყო, რომ 12 წლის გიორგი უკვე სთხზავდა ქართულს ლექსებსა და მათის კითხვით ატკბობდა ამხანაგებს. გიორგის დედა ერთი იმ ძველ, მაგრამ ტკბილ, მოსაგონარ დროის დედათაგანია, რომელთაც კარგად ჰქონდათ შეგნებული და გათვალისწინებული „დანიშნულება და სამღრთო ვალი“ ნამდვილის დედისა. ამისთანა დედების მოგონებაზე ჭეშმარიტად აღტაცებით უნდა განვიმეოროთ ილ. ჭავჭავაძის სიტყვები:

ქართლის დედაო! ძუძუ ქართვლისა
უწინ მამულსა უზრდიდა შვილსა...

უეჭველია, გ. ერისთავი ვერ მოიხვეჭდა ვერც „ქართველთა მოლიერის“-ას და ვერც ახალ დროის ქართულ მწერლობის მამამთავრობის საპატიო სახელს, რომ კარგს ოჯახსა და კარგს დედას იმისი ხასიათი და გული არ მოემზადებინა იმ შრომისა და მოვალეობის შესათვისებლად, რომელსაც მოითხოვს მამულის სამსახური. სიყრმიდანვე დედა-ენის შესწავლას გიორგისათვის არ დაუშლია შემდეგ უცხო ენების ზედ-მიწევნით შესწავლა და შეთვისება, ასე რომ კიდევ ერთხელ გამართლდა ჩვენს პოეტზე ის ჭეშმარიტება, რომ უცხო ენების შესწავლას საფუძვლად უნდა ჰქონდეს დედა-ენის შესწავლა...

ათის წლის გიორგი ერისთავი მიაბარეს ტფილისში ეგრედ წოდებულს კეთილშობილთა სასწავლებელში, რომელშიაც იმ დროს იზრდებოდნენ წარჩინებულ ოჯახის შვილები. სრულიად მოულოდნელად, როდესაც გიორგი მეხუთე კლასში გადავიდა, იძულებული შეიქმნა დაეტოვებინა ეს სასწავლებელი, და 1825 წელს თავის ბიძაშვილთან ესტატესთან ერთად იქმნა გაგზავნილი მოსკოვში. აქ მან დაჰყო მხოლოდ ორ წელიწადს კერძო პანსიონში და ესტატეს ავადმყოფობის გამო 1828 წელს ისევ სამშობლოში დაბრუნდა. მოსკოვიდან დაბრუნებული გიორგი ჯერ ტფილისის გუბერნატორთან შევიდა სამსახურში, და შემდეგ კი კავკასიის მთავარ მართებლად დანიშნულის ბარონ როზენის ამალაში გადავიდა. სწორედ ამ დროს ეკუთვნის იმ საქმის დასაწყისი, რომელიც გ. ერისთავს დაატყდა. შავბნელი იყო ის დრო. სულის შემხუთავი და ზნეობრივად დამჩაგვრელი იყო მისგან წარმოშობილ ცხოვრების პირობები ამ დროის დასახასიათებლად გ. ერისთავის ბიოგრაფი ბ-ნი ი. მეუნარგია მოგვითხრობს შემდეგს ამბავს გიორგის ცხოვრებიდან: „1828 წელს, როდესაც რუსეთის გამოჩენილმა მწერალმა გრიბოედოვმა ჯვარი დაიწერა ქალაქში, მაშინდელმა მთავარმართებელმა პასკევიჩმა, რომელიც გრიბოედოვის ნათესავი იყო, ქორწილი თავის სასახლეში გადაიხადა და ამ ქორწილზე მიიწვია საქართველოს ბევრი თავად-აზნაურნი და, სხვათა შორის, ახალგაზდა გიორგიც. დანიშნულ დროზე გიორგი ქართულის ტანისამოსით მორთული მივიდა სასახლეში და შეუდგა კიბეს, მაგრამ წარმოიდგინეთ იმისი გაკვირვება.. კიბეში ასვლის დროს კართაში სწვდა მას ერთი პოლიციის მოხელე და ზალაში შესვლის ნება არ მისცა ქართულის ტანისამოსით. გიორგიმ ითაკილა ამგვარი შეურაცხყოფა, და შინ დაბრუნდა. თავმოყვარეობამ ნება არ მისცა მას სხვა ტანისამოსი ჩაეცვა და ისე დასწრებოდა ქორწილს“. ამის მსგავსი შემთხვევები იმ დროს ჩვეულებრივ მოვლენად გადაიქცა და ბოლოს პოლიციის თვითნებობამ და თავგასულობამ გამოიწვია მოწინავე საზოგადოების უკმაყოფილება, რომელსაც 1829 წელს მოჰყვა შეთქმულობა. ტფილისში დაარსდა ფარული საზოგადოება, რომელსაც განზრახვა ჰქონდა საქართველოს განთავისუფლება რუსეთის დამოკიდებულებისაგან. ფარულ საზოგადოების მონაწილენი ყველაზე უფრო წააქეზა პოლონეთის მაგალითმა, იქაურმა 1830 წლის აჯანყებამ, უკმაყოფილობის და შეთქმულობის აზრი პირველად დაიბადა პეტერბურგის და მოსკოვის ქართულ წრეებში, რომელთაც მეთაურობდნენ რუსის მთავრობის უკმაყოფილო, ირაკლის შვილი-შვილები ბატონიშვილები დიმიტრი და ოქროპირ. შემდეგ ტფილისში ამ აზრს მიემხრნენ და ერთგულად შეუდგნენ იმის განხორციელებას ელიზბარ ერისთავი, ალექსანდრე ორბელიანი, ალექსანდრე ჭავჭავაძე, სოლომონ დოდაშვილი, ბერი ფილადელფოს კიკნაძე, მამუკა ორბელიანი და სხვანი ახალგაზდა 17 წლის გ. ერისთავიც ეკუთვნოდა ამ შეთქმულთა წრეს და კიდეც იღვწოდა მისთვის ისე, როგორც შეეფერებოდა მის აღფრთოვანებულს აღტაცებულს ბუნებას იმ სამი წლის განმავლობაში, როდესაც მზადდებოდა აჯანყება, შეთქმულთა წრეში ბევრნაირი მღელვარება გამოსცადა. ყველაზე უფრო კი ჰღელავდა და იწოდა გ. ერისთავი... მაგრამ ფხიზელმა გონებამ ერთის შეხებით დაამსხვრია ოცნების კოშკი-პალატი... განზრახულს შეთქმულობას განხორციელება არ ეღირსა ვერ გაბედეს აჯანყება, მაგრამ საქმე ამით არ გათავებულა. ია ფალავანდიშვილმა, შეთქმულობის ერთმა მონაწილეთაგანმა, გასცა ამხანაგები. რაკი გაიგო მთავრობამ შეთქმულობის ამბავი, ყველა უმთავრესი მონაწილე შეთქმულობისა დაპატიმრა. ჩვენი გიორგიც და მასთან ერთად გრ. ორბელიანი, სვიმ. მაჩაბელი, ელიზბარ ერისთავი და სხვ. დაატუსაღეს ავლაბრის ყაზარმებში. ეს მოხდა 10 დეკემბერს 1832 წელს.

დიდი სასჯელი მოელოდათ აჯანყების გამზრახველთ, მაგრამ ბარონმა როზენმა სხვაფრივ შეჰხედა საქმეს და ხელმწიფეს ნიკოლოზ პავლეს ძეს იმნაირად წარუდგინა იგი, რომ ხალხს და ქვეყანას არაფერი განსაცდელი შეხვედრია. თითონ ხელმწიფემ ის აჯანყება ჩასთვალა მხოლოდ რამდენიმე კაცის საქმედ.

რადგან გ. ერისთავი ერთობ ახალგაზდა იყო და მასთან ყველაფერი გულ-ახდილად აღიარა, მას გადაუწყვიტეს, შემდეგ 13 თვის ტუსაღობისა, გაგზავნა ქალაქს ვილნოში. ეს მოხდა 9 იანვარს 1834 წელს.

1838 წლამდის არ დაბრუნებულა გიორგი თავის სამშობლოში პოლონეთში გაატარა მან მთელი ოთხი წელიწადი და შვიდი თვე. ეს დრო მთელ საუკუნედ უნდა მოსჩვენებოდა იმისთანა გულ-მხურვალე მამულიშვილს, იმისთანა გატაცებულს მოტრფიალეს სამშობლოისას, როგორც იყო გ. ერისთავი სულით და გულით ტანჯული პოეტი, თუმცა შეეთვისა შემდეგში პოლონეთის ცხოვრებას და საზოგადოებას და მადლიერიც იყო ამ საზოგადოებისა, მაგრამ სამშობლოს მოშორებას მაინც ასე მოსთქვამდა:

... მარამ არ ძალ-მიძს დავივიწყო მხარე
                    მშობელი
და სიხარულად მიმაჩნია ვიტირო მისთვის.
სად დავიბადე, სად აღვიზარდე, სად ვიყავ ჩჩვილი,
სად სიჭაბუკის გავატარე დღენი ნეტარნი,
სადა მსუროდა მომეწყვიტა ტრფობის ყვავილი,
გლახ, მის მხარიათვის მკფრქვევიან ცრემლნი
                    მდუღარნი.

ფუჭად არ ჩაუვლია გიორგისთვის პოლონეთში ყოფნას. იქ მან ისწავლა პოლონური ენა და დაეწაფა მდიდარს პოლონურს მწერლობას და მეცნიერებას, ისმენდა ლექციებს ვილნოს უნივერსიტეტში და სტკბებოდა პოლონელთა დიდებულ პოეტის მიცკევიჩის პოეზიით. ამ პოეტის ზოგიერთი ლექსი კიდეც სთარგმნა ქართულად გიორგიმ.

ვინ იცის, ბედს თუ გარემოებას გიორგი რომ პოლონეთში არ გადაეკარგა და იქ იმისი გონება ევროპიულად არ განევითარებინა, იქნება, იმის ნიჭის პატრონს იმგვარი კვალიც ვერ დაეტოვებინა ჩვენს ლიტერატურაში, როგორიც დასტოვეს გოლიათებმა ჩვენის პოეზიისა—ნ. ბარათაშვილმა, გრ. ორბელიანმა, ა. ჭავჭავაძემ და ალექსანდრე ორბელიანმა ეს უკანასკნელნი უეჭველად ნიჭით გიორგიზე გაცილებით უფრო მაღლა იდგნენ, მაგრამ ამათ აკლდათ ის, რაც გ. ერისთავის ნიშნობლივს თვისებას შეადგენდა და რამაც მას ჩვენს ახალს მწერლობაში მთელი ხანა და სკოლა შეაქმნევინა. ეს თვისება იყო—მსოფლიო მხედველობა და უნარი ევროპიელის მწერლისა. ეს თვისება შეისისხლხორცა გიორგიმ პოლონეთში; იქ გაიმსჭვალა იგი ევროპიულ თავისუფლების ჰანგებით, იქ ჩაინერგა გულში იდეალი ჭეშმარიტის მამულიშვილობისა. მხოლოდ ევროპიულად განვითარებულს კაცს შეეძლო გიორგისავით ნათლად წარმოედგინა თეატრის და მწერლობის დიდი მნიშვნელობა ქვეყნისათვის..

ილ. ჰონტელი

(დასასრული იქნება)

რუსეთის ქრონიკა

✦ განზრახულია ამ ცოტა ხანში მოახდინონ სრულიად რუსეთის ხელოსანთა კრება. კრება აარჩევს წარმომადგენლებს, რომელთაგანაც შესდგება მუდმივი ბიურო. („რუს. ლ.“).

✦ როგორც „რუს. სლოვ.“ და სხვა სატახტო ქალაქის გაზეთები გადმოგვცემენ, შინაგან საქმეთა მინისტრის ფონ-პლევეს მკვლელს საზონოვს სასამართლოში დაიცავს გამოჩენილი ვექილი კარაბჩევსკი, ხოლო საზონოვის თანამონაწილეს სიკორსკის—ვექილი კაზარინოვი.

✦ როგორც მკითხველებმა იციან, სახალხო სამკითხველოებისა და წიგნთსაცავების კატალოგი ძალიან შეზღუდულია. კატალოგში შეტანილი არ არის მესამედი ცენზორის მიერ ნებადართულ წიგნებისა. ეხლა, როგორც „რუსი“ გადმოგვცემს, საერო განათლების სამინისტროს სამეცნიერო კომიტეტს განუზრახავს შეავსოს კატალოგი საზოგადოების დახმარებით. ამისთვის კომიტეტი ფიქრობს შეეკითხოს სხვა და სხვა დაწესებულებებს და მერე გადაათვალიეროს კატალოგი.

✦ შინაგან საქმეთა სამინისტროს აზრადა აქვს მოახდინოს პეტერბურგში სრულიად რუსეთის ქალაქის მოურავთა კრება. კრებამ უნდა განიხილოს ქალაქის მეურნეობის შესახები საქმეები („რუსი“).

✦ ამ ბოლო დროს ბევრ სასულიერო წევრს მიუმართავს საერო განათლების მინისტრისთვის და უთხოვნია უნივერსიტეტში მიღება. ეს თხოვნები გადაუციათ უწმ. სინოდის ობერ-პროკურორისთვის, რომელსაც ყველა თხოვნა უარ-უყვია.

✦ 1905 წლიდან პეტერბურგში გამოვა საინტერესო ჟურნალი. ოფიციალურ რედაქტორად და გამომცემლად იქნება პეტ. საპოლიტეხნიკო ინსტიტუტის პროფესორი ი. ი. ივანიუკოვი. ჟურნალში მონაწილეობას მიიღებენ სტუდენტი კაცები და ქალები როგორც რუსეთისა, ისე უცხოეთის უმაღლეს სასწავლებლებისა. რედაქციას უკვე დაუგზავნია მონაწილეობის მიღების ბარათები სხვა სახელმწიფოთა უმაღლეს სასწავლებლებისთვის. ჟურნალში ყველაფერი იქნება: ბელეტრისტიკა, კრიტიკა, პუბლიცისტიკა, მეცნიერება და სხვა. სტუდენტთათვის ჟურნალი ეღირება 3 მანეთად, სხვათათვის—5 მანეთად.

✦ ქ. ცარიცინში ერთ უბნის ზედამხედველს, გვარად ზიკოვს ეჭვი აუღია, რომ სოლოდოვნიკოვი და ნემაჩნიხი იყვნენ დაკარგულ ვინტების ქურდები. როცა შემჩნეულები პოლიციაში მიიყვანეს, ზიკოვმა უბრძანა ერთ პოლიციელს არშინ ნახევრიანი სქელი რეზინის მოტანა; დაპატიმრებულებს ტანისამოსის გახდა უბრძანა და დაუწყო ცემა შიშველ ტანზე. ცემა ისე უწყალო იყო, რომ დაპატიმრებულები ძლივს მივიდნენ მეორე ოთახამდე; ერთმა მათგანმა ტანისამოსის ჩაცმაც ვერ მოახერხა. ექიმმა რომ შეამოწმა, თითოს არა ნაკლებ ოც და-

და გაზეთი და ს. ზანაში (ზუგდიდის მაზრა) არავინ არ იწერს გაზეთს, თუმცა ამ სოფელში ორი მღვდელია, ორი მასწავლებელი და 30 მდე თავადიშვილი, რომლებიც სოფლის განათლებულ პირებად ითვლებიან. მართალია, ზანაში ერთი ცალი პალმის გაზეთი მიდის თურმე, მაგრამ ამის გამომწერი მხოლოდ ფორმისა და სახელისათვის იწერს (დაჯილდოვებას თუ გამოელის პალმიდან?), თორემ რუსულს ნაკლებად იცის და რუსულის კითხვაც არ შეუძლია.

ღვთის წინაშე, კორესპონდენტი გვატყობინებს, ერთ-ორს ძალიან უნდა ომის ამბების გაგებაო, მაგრამ დაბეზღების ეშინიათ და გაჩუმებულანო: ვინმეს რომ ომის ამბებზე გამოელაპარაკო, მაშინვე „დონოსი“ გაიგზავნება სადაც ჯერ არს, მოდალატედ ჩაგთვლიან და შეიძლება ვირის აბანოშიც გიკრან თავიო. ჩვენში საზოგადოდ ნაკლებად უყვართ გაზეთის გამოწერა და ვირის აბანოს შიშით ხომ ახლოსაც არავინ გაეკარება გაზეთს.

„დონოსობა“, ჯაშუშობა და დაბეზღება ბოლო დროს მაინც ძალიან გახშირდა ჩვენში. ეს, რასაკვირველია, მეორედ მოსვლის ნიშანია, ჯერ კიდევ დაბადებაში ვკითხულობთ, რომ უდიდესი ცვლილების და მოვლენების წინ დედამიწაზე მრავლდებიან უთვალავი ქვემძრომნი და შხმიანდური არსებანი. გურიიდან ხშირად მოდის ჯაშუშობის ამბები, ქუთაისიდან იწერებოდნენ ამას წინად. ამ ჩვენს დედა ქალაქში ჩვეულებრივი მოვლენაა ეს სენი. წელს დირექციამ არ დაამტკიცა ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლის გამგედ ჯერ წარდგენილი ინსპექტორი და რამდენიმე მასწავლებელი. ერთის გაზეთის აზრით, ამის უმთავრესად დამნაშავენი არიან ჩვენი საზოგადოების ზოგიერთი ქვემძრომნი, რომელთაც „შეცდომაში შეჰყავთ“ სამოსწავლო ოლქის მართველობა ათასის სხვა და სხვა საზიზღარის ჭორების გავრცელებით ამა თუ იმ კანდიდატის შესახებო. ასეთი ჭორების გავრცელება შეუძლებელი არაა, ჩვენ არავითარ საშუალებას არ ვრიდებით საზოგადოდ, ოღონდ კი ჩვენი პირადი მოწინააღმდეგე დავამარცხოთ. საყურადღებოა, რომ დირექციამ არ დაამტკიცა ისეთი პირიც კი, რომელიც არ შეეძლო მას არა-სამედოდ ჩაეთვალა...

სამწუხაროა, რომ ასეთ ამბებს უნდა შეეხო ფელეტონში, მაგრამ ეს დასამალავი არ არის, ეს ნაყოფია ჩვენი საერთო დაცემულობისა, რომელიც რამდენად პირდაპირ ჩვენი ბრალია, იმდენად ბრალია დღევანდელ ცხოვრებისა...

* *

ამის შემდეგია ჩვენებური სკოლაც, სხვათა შორის. სიღნაღიდან გვწერენ, რომ მარიამის ორ კლასიან სკოლის შენახვა დიდძალი ფული უჯდებათ ქალაქსა და მოსწავლე ქალთა პატრონებს, მაგრამ რა სარგებლობა მოაქვს, რას გვმატებს ეს სკოლა? სრულიად არაფერს. ჩვენ დიდი იმედი გვქონდა ამ სკოლისა, მაგრამ იმედი იმედად დარჩა, ხარჯები გაორ-გასამკეცდა და აღტაცებით მიგებება ხსენებულ სკოლის დაარსებისა და სიხარული გაგვიცრუვდა. როგორც წარსულს წელს, ისე ამ მდგომსაც რამდენიმა ქალმა გაათავა კურსი და მათ რიცხვში მხოლოდ მესამედი იყო ქართველი. სკოლაში ქართულის სწავლების ჭაჭანებაც არ არის. სომხები ამავე სკოლაში სადვთო რჯულს მაინც სწავლობენ თავიანთ ენაზე, ქართველებისათვის-კი ესეც აკრძალულია... არავითარს გამოსადეგ ცოდნას არ აძლევს საზოგადოდ ეს სკოლა მოსწავლეებს. უმთავრესი ყურადღება რუსულ ენაზეა მიქცეული, მაგრამ ქალები ვერც რუსულს სწავლობენ და სამშობლო ენასაც ივიწყებენ და რჩებიან ორ წყალ შუა გარიყულნი, არც ცისკენ არიან, არც დედამიწისკენ, არც ღმერთთან, არც ეშმაკთან.

პოლიტიკოსებისათვის ასეთი მდგომარეობა სასურველია. ისინი ასე ამბობენ: ჩვენი თუ არ იქნება, ნურც ნურავის იქნებაო. მაგრამ თვითონ ქალების მამები და დედები რას ამბობენ? ფულს იხდიან იმიტომ, რომ მათი ჯიბიდან ამოღებულის ფულით მათი შვილებივე დაამახინჯონ? განა ტყუილად ვამბობდი ზევით, ჩვენ-ჩვენ არა ვართ-მეთქი?!

* *

ჩვენ გვძულს უფლება! არ გვქვია უფლებას და შეიძლება, რომ არ გვქონდეთ, იმიტომაც არსად არის ჩვენში. უფლება ყველაზე უფრო არ არის ჩვენებურ სოფელში. სოფ. დვანიდან გვწერენ (ქართლშია): თუ კაცს საჩივლელი აქვს რამე აქაურ მოსამართლესთან, შენი მტერი, იმას აწამებენ კანცელარიაში სიარულისაგან, რომელიც ექვსი ვერსის მანძილზეა, ასე გაუძნელებენ საქმეს, რომ გათავებას ვეღარ ეღირსება..

კახეთში რაც მხვნელ-მთესველს მოსავალი მოჰყავს, ოჯახში რომ შეჰქონდეს, თავისუფლად ეყოფა ახალ მოსავლამდე, მაგრამ ასე არ არის. თუ სხვის მიწას ნაწილზე ხნავს, ხომ ნაოთხალს აძლევს; ახლა რაც მას რჩება, ჯერ ისევ კალოზედვე დაიწყებენ ზიდვას მოხელეები, ერი, ბერი, მღვდელი, მოვალე და სხვა; ყველას თავისი საწყაო მოაქვს და თავისებურად სწყავს. თუმცა ხორბლეულობა სასწორზე უნდა იწონებოდეს და აკრძალულია წყვა კოდით, ჩანახით და ამგვარი საწყაოთი, მაგრამ ამას ყურადღებას არავინ აქცევს და ერი და ბერი ყველა სცარცვავს და ატყავებს მიწის მუშას, ყველას უნდა, რომ ერთი ორად გადაახდევინოს...

თუ ასე უსამართლოდ იჩაგრება უბრალო, მშრომელი ხალხი სოფელში სხვა და სხვა სისხლის მწოველებისაგან, (ვინაიდან სოფელში დიდი სიბნელე ჰმეფობს შედარებით), მოსალოდნელი იყო, რომ ქალაქში, სადაც მეტი განათლებული ადამიანია, უფრო ადამიანურად მოეპყრობოდნენ ღარიბ ხალხს. მეტი დამხმარებელი და შემწე გამოუჩნდებოდა მას. მაგრამ ძლიერ ხშირად ეს ხალხი შევიწროებულია სწორედ იმათგან, რომელნიც ყველაზე უწინარეს მოწოდებულნი არიან ხალხის დასახმარებლად. მაგალითად, ამ ერთის თვის წინად ქუთაისის ქალაქის გამგეობამ იჯარით მისცა შეუძლებელ მცხოვრებლებს ქალაქის მიწები. რასაკვირველია, მოიჯარადარენი ცდილობდნენ, რაც შეიძლება, იაფად აეღოთ ადგილები, მაგრამ გამგეობის წევრმა ზარის რაწკუნით და ბრძანებლობის კილოთი გამოუცხადა მათ: „ქალაქის გამგეობას კომერცია აქვს აზრად და არა ღარიბ ხალხის დახმარება, რომ იაფად გვსცეთ ადგილებიო. ამიტომ ვცდილობთ, რაც შეიძლება ძვირად გასცეთ ადგილებიო“!

ქუთაისი, მართალია, ღარიბი ქალაქია, კარგად ესმის მისი სურვილი, რომ სიმდიდრე შეიძინოს, მაგრამ ნუ თუ ეს სიმდიდრე უნდა შესდგეს ღარიბების და ღატაკების გროშებისაგან და ქალაქის გამგეობას სხვა საშუალება ვერ გამოუნახავს თავის კასის შესავსებად? შეიძლება ქუთაისმა იმიტომ მიმართა ღარიბებს, რომ იმათი ჯიბიდან ფულის ამოღება ადვილია?..

და ქუთაისის ქალაქის მამები რომ ადვილს საქმეს ეტანებიან და ძნელს გაურბიან, ეს აშკარაა, რადგან რამდენიმე კვირა გადის ხანდახან, რომ საბჭოს სხდომა ერთხელ არ შესდგება. ქუთაისის ხმოსნებს ძალიან ეზარებათ ქალაქის საქმეებზე და ქალაქის ინტერესებისათვის ზრუნვა, რადგან პირადად მათთვის არაფრად არის სასარგებლო ქალაქის საერთო საქმეები. ქუთაისის ხმოსნები უფრო სიხარულით მიეშურებიან კლუბებში კარტის სათამაშოდ ან სხვაგან მხიარულს ადგილს დროს გასატარებლად. ამ რამდენიმე თვის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ მოაგონდათ ხმოსნებს თავიანთი მოვალეობა ქალაქის წინაშე, ეს იყო ამ ორი კვირის წინად, როდესაც ირჩევდნენ გამგეობის ერთს წევრს. მაშინ კი ბლომად შეიკრიბნენ ხმოსნები და დიდი „სიყვარული“ გამოიჩინეს საზოგადო საქმისადმი: ბევრს უნდოდა, გამგეობის წევრად არჩეულიყო და ამით სამსახური (?) გაეწია სამშობლო ქალაქისათვის. ბევრი იბრძოლეს და ბევრი ოფლი დაღვარეს ოპოზიციონისტებმა დღევანდელის წევრის წინააღმდეგ. ჯერ გამგეობის წევრის ჯამაგირის შემცირება მოინდომეს, ამით ხელს ავაღებინებთ კანდიდატურაზეო. მერე კი გაიძახოდნენ: არ ვიცოდით (?), თუ წევრს ამდენი ჯამაგირი ექნებოდა, თორემ ბევრი იყო ამ ადგილის მსურველიო და სხვა-და-სხვა.—ერთის სიტყვით იმდენი ძალა და გონება დახარჯეს ქუთაისელმა ხმოსნებმა უკანასკნელ არჩევნების დროს, რომ ამდენს ძალას ქალაქის ნამდვილ ინტერესებს ანდომებდნენ, მაშინ ქუთაისის არაფერი გაუჭირდებოდა და აღარც დასჭირდებოდა ღატაკების გაძარცვა. მაგრამ ამისთვის ხომ საჭიროა გულების და მოვალეობის შეგნება!

ხიტუმა

ლურჯბული ადგილისა ამოიღინა. ასეთ წამების შემდეგ ს...ლოდოვნიკოვი და ნემაჩნიხი ერთ თვეს საავადმყოფოში იწვნენ.

საქმე სასამართლომდე მივიდა და გაირჩა მარატოვის სასამართლო პალატაში. ბრალდებულმა თავის სიტყვაში, სხვათა შორის, სთქვა, რომ რეზინა, რომლითაც უცემნია ზიკოვს, ალბად, წინადაც ყოფილა ამ გვარ საქმის იარაღადო და მოითხოვა სასტიკი სასჯელი. პალატამ დამნაშავედ იცნო ზიკოვი და მიუსაჯა 20 დღით დაპატიმრება. (პ. ვედ.).

◆ სხვა და სხვა ერობათ აღუძრავთ რამდენჯერმე შუამდგომლობა, რომ ერობის საარჩევნო ცენზი შეემცირებინათ, მოემატებინათ ხმოსნების რიცხვი და უფლება არ ჰქონებოდა ადმინისტრაციას ერობაში მოსამსახურეთა ადმინისტრატიულად დასჯისა. შინაგან საქმეთა სამინისტრო სულ მოკლე ხანში შეუდგება ამ შუამდგომლობათა განხილვას. ერთ ერობას უთხოვნია, რომ ქალებისთვისაც მიენიჭებიათ საარჩევნო უფლება. ამ საკითხს ეხლა არ განიხილავს სამინისტრო. („რუს“).

ღამის დეპეშები

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“
20 ნოემბერი

მუკდენი, 19 ნოემბერი (საკუთ. კორესპ.). ცხენოსან მოხალისეთა რაზმებმა 18 ნოემბერს იაპონელები დაპინდუშანისაკენ და უაიცაიუზესაკენ განდევნეს და უვენსენს თოფი დაუშინეს. ვოლხოვის პოლკის მოხალისეთ იაპონელები დამანტუნიდან მდ. შახეს მარჯვენა ნაპირისაკენ განდევნეს. 19 ნოემბერს საალყე არტილერიამ იაპონელების ცენტრალური სანგრები დაანგრია. დატყვევებული იაპონელები სიცივესა და საკვების სიცოტავეს უჩივიან.

დაქიაპუ, 19 ნოემბერი, (საკ. კორესპ.). დღეს ღამით იაპონელები ორის კოლონით სოფელ ვანტენს ახლო ჩვენს პოზიციებზე იერიშის მოტანას ეცადნენ, მაგრამ მოხალისეთ მტერი პოზიციებამდე არ მოუშვეს და ყველა იერიში მოიგერიეს. საქმე შტიკამდეც მივიდა.

მადრიდი, 19 ნოემბერი. ერთის კვირის წინ იაპონიის ელჩმა ესპანიის გარეშე საქმეთა მინისტრი ნახა და სთხოვა, ამიხსენით, რუსის ესკადრას ვიგოში ქვა-ნახშირი და საკვები სურსათი რად დაადებინეთო. მინისტრმა აუხსნა და მას შემდეგ ამ საქმეზე ლაპარაკი აღარა ყოფილა.

კარდიფი, 19 ნოემბერი („რეიტერი“). საბუთია ვიფიქროთ, რომ ინგლისის გარეშე საქმეთა სამინისტრო გერმანიის გემ „კაპიტან მენცელ“-ის საქმეს დაწვრილებით გამოიკვლევს; ამ გემმა რუსის ესკადრას დაკარში ინგლისის ქვანახშირი ჩააბარა. აქ ჰფიქრობენ, მთავრობა სცდილობს, რომ ბალტიის ესკადრას ქვა-ნახშირი აღარავინ წაუღოსო.

ხარბინი, 19 ნოემბერი, („რეიტ. სააგ.“). მანჯურიის მეორე არმიის მომეტებული ნაწილი უკვე მოვიდა. ჯარი მშვენიერ მდგომარეობაშია და ძლიერ აღფრთოვანებულნი არიან.—ხვალ დილით გენ. გრიპენბერგის მოსვლას მოელიან.—„დეილი ტელეგრაფ“-ი იუწყება, რომ ბევრი იაპონელი მოდის რუსის ჯარშიო. ამ დღეებში ერთი უნტერ-ოფიცერი რვა სალდათით დაჰმორჩილდა რუსებს საკვებ სურსათისა და საზამთრო ტანისამოსის უქონლობის გამო. ყველანი კარგად მიიღეს; ციმბირში დასახლების ნება მისცეს.

პერიმი, 19 ნოემბერი („რეიტერი“). აფრიკის ნაპირთან პერიმს ახლო ერთის საათის დგომის შემდეგ, რუსის გემები აღმოსავლეთისაკენ, ადენისაკენ წავიდნენ იმის მაგიერ, რომ ჯიბუტისაკენ წასულიყვნენ.

ტანჟერი, 19 ნოემბერი („რეიტერი“). რუსის გემების აფიცრები ამბობენ, რომ ტანჟერიდან 22 ნოემბერს წავალთო.

კალკუტა, 19 ნოემბერი („რეიტერი“). საგანგებო საელჩო 29 ნოემბერს ჯარდიკაის წავა და მერე იქიდან ქაბულს.

ვაშინგტონი, 19 ნოემბერი („რეიტერი“). იაპონიის რწმუნებულმა შეატყობინა გარეშე საქმეთა მინისტრის თანაშემწეს ლუმისს, რომ რუზველტის მოწვევა სამშვიდობო კონფერენციაზე იაპონიამ გუშინ მიიღო და მალე პარლამენტს გადაეცემაო. ამის გამო აქ ჰფიქრობენ, რომ იაპონია დასთანხმდება რუზველტის მოწვევასო.

კაზანი. ლუდის ქარხნის პატრონმა პეტცოლდმა გამოაცხადა, 20 კაცის საავადმყოფო გავმართე დაჭრილ მეომრებისათვისაო.

მუკდენი, 20 ნოემბერი (საკუთ. კორესპ.). ამა ღამის, დღეს ღამით დონის ყაზახებმა ლიდიანტუნთან იაპონელების ბატარეია ჩაიგდეს ხელში.

მუკდენი, 19 ნოემბერი (რეიტერი“)ს რუსის საალყე არტილერიამ დღეს შუადღისას სუიატუნს ახლო რკინის გზის მიდამოებს ზარბაზანი დაუშინა. სროლამ დაღამებამდე გასტანა.

ტოკიო, („რეიტერი“). თუმცა რუსის გემების მომეტებული ნაწილი პორტ-არტურში დაზიანებულია, მაგრამ ზოგიერთს კიდევ შეუძლიან ბრძოლა, ეს იქიდანაც სჩანს, რომ რუსები ზღვიდან ნაღმების ამოღებას განაგრძობენ, ცხადია იმ აზრით, რომ გემებს გასაქცევად გზა გაუწმინდონ.

შეცდომის გასწორება. გენ. კუროპატკინის დილინდელ უკვეშევრდომილეს დეპეშაში მე-7 სტრიქონში უნდა ეწეროს: „ყაზახთა რაზმისაგან, რომელიც იაპონელების სადევნელად აღმოსავლეთ გზით გაიგზავნა, ჯერ მოხსენება არაა მიღებული“ და სხვა.

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან“
19 ნოემბერი

ლონდონი, 19 ნოემბერი. რუსის გაზეთებმა წერა დაიწყეს, რომ შავის ზღვის ესკადრა დიდ ოკეანეს მეორე ესკადრას შეუერთდესო; ამის გამო „მორნინგ პოსტი“ ამბობს, რომ ეხლავე შეგვიძლიან იმისი გამოცნობა, თუ როგორ მოიქცევა რუსეთი: ჯერ შავის ზღვიდან გემების გაგზავნას სცდის, ისე როგორც „პეტერბურგი“ და „სმოლენსკი“ გაგზავნა, თუმცა ახალ ცდას უფრო სერიოზული მნიშვნელობა ექნება. ინგლისის მთავრობა პროტესტს გამოუცხადებს რუსეთს და ამავე დროს ინგლისის ერს დაარწმუნებს, რომ სანამ დიპლომატია საქმეს რიგზე არ გაარჩევს, ომამდე საქმე არ მივაო. ვიდრე დიპლომატია საქმეს გაარჩევდეს, შავი ზღვის ესკადრა გზას გაუდგება და ად. როჟდესტვენსკის შესაერთებლად წავა.

მუკდენი, 20 ნოემბერი. იაპონელების მოქმედების შეჩერება იმით აიხსნება, რომ სარეზერვო ჯარი აკლიათ. ამ ჟამად იაპონელებს ინკოუსა და დალნიში დიდძალი სარეზერვო ჯარი მოჰყავთ, რადგან ინკოუ შეიძლება მალე გაიყინოს.

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“
18 ნოემბერი

პეკინი, („რეიტ. სააგ.“). უცხოეთის პროტესტი გამოუცხადეს ჩინეთის მთავრობას დასამატებელ სატრანზიტო ბაჟის გადახდევინების გამო. აქამდე ჩინელი მოხელენი ახდევინებდნენ 2½ % ეგრედ გასაგზავნ საქონელზე; ეს ერთი ხანია-კი მოუმატეს გადასახადს იმ მოსაზრებით, რომ ხარჯი უნდა დაიფაროსო. ჩინეთის მთავრობას პასუხი არ გაუცია პროტესტზე.

ვენა, 19 ნოემბერი. რუსეთის ელჩი გრაფი კაპნისტი გარდაიცვალა წყლითისაგან შუადღის პირველ საათზე.

ირკუტსკი. „ვოსტოჩნოე ობოზრენიე“-ს ატყობინებენ ახოტსკიდან, რომ გიჟიგის მხარეში თევზისა და ორის სასურსათო გემის მოუსვლელობისა გამო ამ ზამთარ საშინელი შიმშილობა იყო: ორის სოფლის მცხოვრებნი სულ გაწყდნენ.

19 ნოემბერი

ერივანი, 19 ნოემბერი. საქართველოს სამხედრო გზაზე თოვლის ზვავი ჩამოწოლილა და სტასტით ქაშაქებიდან ფოსტა აღარ მოდის.

მიუნხენი, 19 ნოემბერი. („ვოლფის სააგენტო“). პრინცი ფრიდრიხ ჰოჰენცოლერნი გარდაიცვალა.

20 ნოემბერი

პეტერბურგი. 19 ნოემბერს ხელმწიფე-იმპერატორის თანდასწრებით ლეიბ-გვარდიის მეორე მსროლელთა ბატალიონის ეკკლესია აკურთხეს.

პეტერბურგი, უმაღლესი ბძანება: ხარჯთ-აღრიცხვაში აღნიშნულ გადასახადების დეპარტამენტების დირექტორს სტატსკი სოვეტნიკს კუტლერს უმაღლესად ებძანა შინაგან საქმეთა მინისტრის თანაშემწედ იყოს.

ბელგრადი, 19 ნოემბერი. სამინისტრო სამსახურიდან გადადგა. გენერალი გრუიჩი სასახლეში წავიდა და მეფეს სამსახურიდან გადადგომის შესახებ თხოვნა ჩააბარა. მეფემ თხოვნა დაიტოვა, მაგრამ სამინისტრო სამსახურიდან არ დაითხოვა; საქმის გადაწყვეტა 21 ნოემბრამდე გადასდვა, როდესაც კლუბი პარტიის მომავალ ბედზე მოილაპარაკებს და ახალ სამინისტროს შეადგენს.

სოფია, 19 ნოემბერი. (ოპოზიციის წრეებიდან). მთავარი ოსმალეთის ახალ კომისარს სადიკ-ფაშას მიიღებს. იმედი აქვთ, რომ ამის წყალობით ბოლგარიისა და ოსმალეთის ურთიერთობა ცოტა გაუმჯობესდება. სადამოთი მთავარი მიიღებს პარლამენტის კომისიას, რომელიც ადრესს წარმოუდგენს სეფე სიტყვის პასუხად.

პეტერბურგი. ხელმწიფე იმპერატორმა დაამტკიცა უწმიდეს სინოდის მოხსენება მოსკოვის ეპარქიაში მეოთხე ვიკარის კათედრის შესახებ. ამ ვიკარის სერპუხოვის ეპისკოპოსის სახელი ეწოდება და ახალ კათედრაზე მურომის ეპისკოპოსი ნიკონი იქნება გადაყვანილი. ხელმწიფე იმპერატორმა უმაღლესად ბრძანა კალუგის სასულიერო სემინარიის რექტორი არქიმანდრიტი ალექსანდრე მურომის ეპისკოპოსად იყოს.

ვენა, 19 ნოემბერი („კორ. ბიურო“(. აქ ერთს სასტუმროში დღეს დაატუსაღეს კასირი ფრანც ცედრიხოვსკი, რომელსაც სხინოვეცში 60 ათასი მანეთი მოუტაცნია და გამოქცეულა. დატუსაღების შემდეგ 48 ათასი კრონა და 855 მანეთი უპოვეს.

სტოკჰოლმი. მთავრობამ უმაღლეს სასამართლოს თავმჯდომარე გამერშელდი ჰააგის მუდმივ სიმედიატორო სასამართლოს წევრად დანიშნა.

პარიზი, პალატის კომისიამ, რომელსაც ეკლესიის სახელმწიფოსაგან განცალკევების საქმე აქვს მინდობილი განსახილველად, სოციალისტ დევილის წინადადება მიიღო და ამით წინად ყოფილი მთავრობის წინადადება აღადგინა. კომისიის წევრთა უმცირესობამ პროტესტი გამოაცხადა.

კაზანი. ჩაიკინის საქმის განხილვის დროს სასამართლოს თავმჯდომარედ დაზენკო იქნება, წევრებად გრიგორიევი და დაზარევი, ბრალმდებლად პროკურორის თანაშემწე პოკროვსკი.

ვენა. რუსეთის ელჩის კაპნისტის გარდაცვალების გამო ბევრმა სამძიმარი გამოაცხადა. ნაშუადღევს გარდაცვალებულ ელჩის გვამს რუსის ეკლესიაში დაასვენებენ.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა, 19 ნოემბერი

ლონდონისაზე 10 გირვ. სტ.	93,70
ბერლინისაზე 100 მარკაში	—
პარიზისაზე 100 ფრანკში	37,30
ლონდონისაზე ჩეკები	94,45
ბერლინისაზე „	46,80
პარიზისაზე „	—
ბირჟის დისკონტი	91⁵/₈
4% სახელმწიფო რენტა	—
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	—
4½% შინაგანი სესხი 1903 წ.	—
4% გირ. ფურ. სახელ. ს.-მამ. ბანკ.	—
5% 1 შინ. სესხ. მომ. ბილ. 1864 წ.	427½
5% მეორე შინ. სესხ. მომ. ბილ. 1866 წ.	320
5% გირ. მომგ. ფურც. სახ. ს.-მამ. ბანკ.	271
5% თბილ. ტფილ. საკრ. საზოგ.	—
4½% თბილ. იმავე საზოგად.	—
5%-ანი თბილ. ბაქოს საკრ. საზოგ.	—
5% გირ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკ.	—
4½% გირაოვ. ფურც. ამავე ბანკისა.	—
6% გირ. ფურ. ქუთ. ს.-მამ. ბანკისა.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	87¼
ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია.	245

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა
15 ოქტომბრიდან.

ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა.

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით) საღამოს 5 ს. 21 წ. (6 ს. 19 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 44 წ. (8 ს. 42 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 ღამის 10 ს. 24 წ. (11 ს. 22 წ.).

ბათუმს: 1) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 4 ს. 20 წ., (5 ს. 18 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.).

ერივანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 55 წ. (12 ს. 53 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 ნაშუადღევის 10 ს. (10 ს. 58 წ.).

ბორჯომს: სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.).

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს, ნაშუადღევის 2 ს. 26 წ. (3 ს. 24 წ.); 2) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 3 ს. 03 წ. (4 ს. 01 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 56 წ. (6 ს. 54 წ.); 4) საქონ.-სამგზ. № 17 ღამის 11 ს. 38 წ. (12 ს. 36 წ.).

ბათუმიდან: 1) საფოსტო № 4 საღამოს 4 ს. 56 წ. (5 ს. 54 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 01 წ. (7 ს. 59 წ.).

ერივან-ყარსიდან: 1) საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 35 წ. (6 ს. 33 წ.); 2) საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 3 ს. 50 წ. (4 ს. 48 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

ბ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ნაშუადამევის 1 ს. 15 წ. (2 ს. 13 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 52 წ. (8 ს. 50 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 40 წ. (1 ს. 38 წ.); 4) საქ.-სამგზ. № 17 დილის 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.).

გ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) საფოსტო № 4 დილის 4 ს. 36 წ. (5 ს. 34 წ.); 2) სამგზავრო № 6 საღამოს 6 ს. 05 წ. (7 ს. 03 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

1) სამგზავრო № 51 ღამის 12 ს. 05 წ. (1 ს. 03 წ.); 2) სამგზავრო № 53 დილის 8 ს. 25 წ. (9 ს. 23 წ.); 3) სამგზავრო № 55 ნაშუადღევის 2 ს. 20 წ. (3 ს. 18 წ.); 4) სამგზავრო № 57 საღამოს 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.).

სახალხო ბიბლიოთეკები

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა“

ტფილისში:

1. სასახლის ქუჩაზე, თავ.-აზნაურობის ქარვასლაში.
   ღია არის დილით 10—2 საათ.
   „ საღამ. 5—7 „
   კვირა-უქმე—დილ. 11—1 „
2. ნაძალადევში, ვლადიპროვოდის ქ., № 131.
   ღია არის დილით 10—2 საათ.
   „ საღამ. 5—9 „
3. ოლგას ქუჩაზე, სახლი № 19.
   ღია არის დილით 10—2 საათ
   „ საღამ. 5—8 „

განცხადებანი

ქირავდება შუა ფასებში ღვინის სარდაფი ვერის დასახევეშიყორღანოვის ქ. № 2. ორმხრივ შესავალით, მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ იმავე სახლებში სახლის პატრონს ვლადიმერ ხუნდაძეს. (4—382—2)

ი. ს. ანან   დრეთა
აჯამეთი   ში იყიდება:

1) დარჩეული ნამყენი ადგილობრივის და ევროპიულის ჯიშისა,

2) ამერიკულ ვაზის ლერწი სხვა და სხვა-ჯიშისა: Rupestris mont., Riparia gl. და Ripariat Rupestris 101¹⁴.

3) ფესვიანი ნერგები ამერიკულ ჯიშის ვაზებისა.

ადრესი: Ст. Аджаметы З. К. Ж. Д. Управляющему имѣніемъ А. М. Татевосяну. (15—4)

ევალდ იანჰოვსკ

კაფელის ფეჩბი, ღუ მელები.

სამზარეულოს პლიტები რკინისა და კაფელისა.

ფაიანსის ნაჭრები კედლებისათვის. ფასები 25 მანეთიდ ანა

გამართვა აგურის ფეჩებისა და პლიტებისა.

საწყობი: ტფილისი, მიხეილის ქ. № 157.
(30—30) ტელეფონი № 282.

ტფილისის ტრამვაის უსახელო საზოგადოება

აცხადებს, რომ ელექტრონის მოძრაობის შემოღების შემდეგ **გაიყიდება ცხენები**. ცნობებისთვის მსურველმა უნდა მიჰმართოს გამგეობას მუშტაიდის ვიწრო ქუჩაზე, საკუთარ სახლში დილის 10-დან ნაშუადღევის 2 საათამდე. (1—6.—1)

ტფილისში ტანისამოსის მკერავი
ი. ნ. სვანიძე.

მიღებულია მდგომარე სეზონისათვის დიდძალი მატერიები რუსული და საზღვარ-გარეთული ტანისამოსის შესაკერად ერის კაცთა, სამხედრო და სამოქალაქო მოხელეთათვის და ყველა სასწავლებლის მოსწავლეთათვის. შეკვეთილი საქმე **მსწრაფლ, კარგათ** და **დროზე** მზადდება. **ფასები ძალიან ზომიერია**. ლორის-მელიქოვის ქ. სახლი ზუბალოვისა მართლმადიდებელთა სასულიერო სემინარიის პირდაპირ. (30—4

საუკეთესოდ მოწყობილი
ასოების ჩამოსასხმელი ქარხანა
წიგ. გამ. ქართ. ამხანაგობისა.

ამზადებს ყოველნაირ ქართულს, რუსულს, სომხურს და თათრულს ასოებს.

პრეისკურანტი მსურველთ უფასოთ ეგზავნებათ

სიბრძნე-სიცრუე
ახალი გამოცემა

იყიდება ქართველთა ამხანაგობის კიოსკში.

„ცოდნა“ ქართული წიგნის მაღაზია

ტფილისი, ქვაშვეთის ქუჩა, არეშვანიძის სახლი (ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ).

იყიდება ყოველგვარი ქართული წიგნები და სკოლებში სახმარებელი სახელმძღვანელოები.

მიზანი „ცოდნის“ მაღაზიისა არის გავრცელება ხალხში და საზოგადოებაში გამოსადეგ, სასარგებლო და ყველასთვის ხელ-მისაწვდომ წიგნებისა. **მსურველთ** წიგნები ეგზავნებათ ფას დადებითაც.

იყიდება კალენდრები—ჯიბისა 10 კ. კედლისა 40 კ. ერთბაშად ბევრის მყიდველებს ფას დაკლებით.

ადრესი: Тифлисъ, книжный магазинъ „ЦОДНА“.
(50—44). წიგნის მაღაზიის გამგე სოსიკო მერკვილაძე.

ახალი საყმაწვილო ჟურნალი
„ნაკადული“
სურათებით
გამოიცემა მცირე წლოვან და მოზრდილ ყრმათათვის

თვეში სამი წიგნი: ორი მცირე წლოვანთათვის და ერთი მოზრდილთათვის პედაგოგიურ ფურცლის დამატებით.

წლიწადი იანგარიშება 1 ნოემბრიდან 1 ნოემბრამდე.

ჟურნალის ფასი: ერთად ორივე გამოცემა ღირს წელიწადში 5 მან. ცალ-ცალკე 3 მან. ნახევარის წლით ორივე გამოცემა 2 მ. 50 კაპ.; ხელის მომწერს შეუძლიან თვეში თითო მან. შემოიტანოს. ფასი თითო ნომრისა: მოზრდილთა ჟურნალი—25 კ. მცირე ყრმათა—15 კაპ. რედაქცია იმყოფება ალექსანდროვის ქუჩაზე, № 5, სახლი პოპოვისა, სადგომი მარიამ ივანეს ასულის დემურიასი

ხელის მოწერა მიიღება: რედაქციაში, „წერა-კითხვის გამავრც. საზოგ.“ კანცელარიაში და ჟურნალის აგენტებთან.

(0—შ.24) ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція журнала „НАКАДУЛИ.

ნავთის მწარმოებელ ამხანაგობის
„შხტას“

გამგეობა აუწყებს ბ-ნ პაის პატრონთ, რომ დანიშნა 7%-იანი შესატანი, ე. ი. 7 მანეთი თითო პაიზე 1-დან 7 დეკემბრამდე და 8-დან 17 დეკემბრამდე ჯარიმიანად; ამის შემდეგ პაი, რომლის შესატანიც გასტუმრებული არ იქნება, ამხანაგობის ხელშეკრულობის ძალით, გაუქმებულად იქნება ჩათვლილი.

შესატანი მიიღება ამხ.—ბის კანტორაში, ლერმონტოვისა და ველიამინოვის ქუჩების კუთხეში, ხანჯალამოვის სახლში. (შესავალი ლერმონტოვის ქუჩიდან), დილის 9-დან ნაშუადღევის 2 საათამდე და საღამოს 6-დან 9 საათამდე.

ფულის შეტანის დროს პაის პატრონებმა უნდა წარადგინონ საპაიო კვიტანციები. (2—334—1)

იყიდება
ხეხილის სეები „შრომის“ სანერგიდან ლაგოდეხში
კ. აფრიკიანისა.

სანერგესთან მოწყობილია მეურნეობა დასამყნელ ნერგებისა. იყიდება მრავლად დასამყნელი ნერგები ვაშლისა, მსხლისა, კომშისა, ბალისა, ატმისა, ქლიავისა და სხვ. 18 ათასი 4 მანეთად. კატალოგები უფასოდ.

ადრესი: Лагодехи, К. Африкiану. (3—331—2)

საფაბრიკო საწყობი
ქაღალდის ფაბრიკის სააქციონერო საზოგადოებისა
გ. ი. პალლიზენ

რუგვის ქაღალდის ფაბრიკის ამხანაგობისა და კოშელევების ქაღალდის ფაბრიკების **ტფილისი**, გოლოვ. პროსპ. მანთაშევის სახლში. **ბაქო**, მილიუტინის ქუჩა, გრანდ-ოტელის ქვემოდ.

ქაღალდი ყოველ-გვარი: ფოსტის, საწერი, წიგნის, ალბომის, გაზეთის, საბეჭდი და მუშტუკის, ბოთლის გასახვევი და სხვა; აგრეთვე წიგნები, კონვერტები, საწერი, საკანცელარიო საგნეის. ტელეფონი № 679. (0—186)

გენერალნოე ობშჩესტვო
(Генеральное общество)
სიცოცხლის და სიკვდილამდის შემოსავალთა დაზღვევისა
აძლევს დამზღვევთ:

1) შეურყეველ გარანტიას, რომ უზრუნველჰყოფს ყველა ნაკისრ მოვალეობას; ამ გარანტიას წარმოადგენს: ა) საზოგადოების ძირითადი თანხა სამი მილიონი მანეთისა (3.000.000) ბ) სათადარიგო თანხა, რომელიც სდგება საზოგადოების წმინდა მოგებიდან 10% გადადებით და გ) პრემიების სრული სათადარიგო ჯამისაგან, რომელიც ინახება, მთავრობის ფაქტიურ კონტროლით, თანახმად 1898 წ. 11 მაისის კანონისა;

2) სრულს ხელუხლებლობას პოლისებისას და ყველა იმ ფულისას, რომელიც დამზღვევთ საზოგადოებიდან ერგებათ, არესტისაგან, გადაცემისაგან და სხვა;

3) უსათუოდ უცილებლობას პოლისებისას დაზღვევიდან 1 წლის შემდეგ.

4) პოლისების დაურღვევლობა დაზღვევიდან 3 წლის შემდეგ, ესე იგი, სამის წლის შემდეგ დამზღვევს ნება აქვს, თუ ჰსურს, შეაჩეროს გადასახადის შეტანა საზოგადოებაში და მიუხედავად ამისა, დარჩეს დაზღვეულად ცოტად თუ ბევრად ხანგრძლივად;

5) პასუხის გებას, თუ დაზღვეულმა თავი მოიკლა.

6) მოგზაურობის სრულს თავისუფლებას;

7) სამსახურისა და პროფესიის სრულს თავისუფლებას;

8) პრემიების სიიაფეს;

9) განთავისუფლებას გადასახადებიდან, რომელიც საჭიროა პოლისების დასამზადებლად და გრეთვე სხვებრ გადასახადებისაგან;

10) უფლებას დაზღვევისათვის გადასახადის თვიურად შემოტანისას;

11, საზოგადოების მოგებაში მონაწილეობის ნებას იმის მიხედვით, თუ რამდენი ექნება დამზღვევს შეტანილი პრემია;

12) სესხს იმ პოლისების გირაოთი, რომელთაც 3 წლის განმავლობაში ძალა ჰქონდათ; სესხი გაიცემა 6%-ით;

13) უფლებას შეაჩეროს დროებით დაზღვევა და შემდეგ, თავისავე სურვილის თანახმად, კვლავ აღადგინოს იგი;

14) სამის თვის შეღავათის სავადო პრემიის გადასახდელად და სხვ...

საზოგადოების **გამგეობა** იმყოფება პეტერბურგს, ნევსკი პრ., 23. **ამიერ-კავკასიის ოლქის მმართველობა** ტფილის'ი, გოლოვინის პრ., იქოვეის სახლი, ტელეფონი № 429. **აგენტები** არიან ოლქის ყველა უმთავრეს ადგილებში. (100—43)

Дозволено цензурою, 20 ноября 1904 г.

სტამბა „წიგნების გამომც. ქართვ. ამხ—ისა“.

Электроп. „Груз. Изд. Т—ва“.